3. Э.Р.Бабаев, М.Э.Мовсумзаде, П.Ш.Мамедова, Д.М.Кулиева, Ф.М.Велиева. «Оптимизация состава питательных сред для нефтеокисляющих дрожжевых культур рода *Candida*». М.: «Нефтепереработка и нефтехимия», 2010, № 10, 46-51.

SELECTION OF THE ACTIVE STRAINS-DESTRUCTORS OF PETROPOLLUTION OF THE ABSHERON PENINSULA SOIL

V.M.Farzaliev, E.R.Babaev, P.Sh.Mamedova, E.A.Zulfugarov
A.M.Kuliev Institute of Chemistry of Additives, ANAS

SUMMARY

Studied Payload hydrocarbon-oxidizing bacteria isolated from soil contaminated with oil long-Tew Absheron Peninsula and tested strains: (*Pseudomonas fluoresces*, *Pseudomonas aeruginosa*, *Mycobacterium lacticolum*, *Rhodococcus luteus*, *Rhodococcus erythopolis*) of the Working Collection Laboratory, Institute chemical additives ANAS. Revealed that the studied cultures differ in activity in oil consumption and its components. The maximum degree of destructiveness-tion of oil pollution and their fractions was observed in isolated from contaminated soil microorganisms-destructors: A5 and A8, the degree of degradation which was 58 and 50%, respectively, as well as *Pseudomonas fluoresces* (52%). Association, consisting of 2 strains of destructor, in particular, the community of microorganisms (A3 + A5) and (*Pseudomonas fluoresces* + *Rhodococcus erythopolis*) decomposed oil pollution more effectively (the degree of destruction of 65 and 64% respectively).

The studied strains can be used to create biopreparatov and their further use in the bioremediation of soils from petroleum tezagryazneny.

საქართველოში ნავთობის მრეწველობის განვითარების პერსპექტივა

ნათელა ხეცურიანი, ზაზა მოლოდინაშვილი, გოჩა შავგულიძე

*პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტი
საქართველოს ნავთობქიმიკოსთა ასოციაცია*


მრავალი ქვეყნის ეკონომიურ სიძლიერეს მის ტერიტორიაზე არსებული წილისელის სიუხვე განსაზღვრავს. ნავთობისა და გაზის მრეწველობა ნებისმიერი ქვეყნის სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის და ეკონომიკის სტრატეგიაა, რომლის პროდუქციას მოიხმარება მრეწველობის ყველა სხვა დარგის მიერ. თითოეული სახელმწიფოს განვითარების დონე განისაზღვრება ენერგორესურსების მოხმარების მასშტაბით. ენერგორესურსების ძირითადი სახეობაა; ქვანახშირი, ნავთობი, ბუნებრივი აირი, ჰიდროელექტროენერგია და ბირთვული ენერგია. ნავთობით და გაზით საქართველოს მეურნეობის უზრუნველყოფისთვის აუცილებელია ახალი საბადოების ძიება, გახსნილი საბადოების დაზვერვა და მათი ექსპლუატაციაში შეყვანა. საქართველოს ნავთობების მიზანმიმართულ და სისტემატურ კვლევას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება გეოლოგიურ-გეოქიმიური ხასიათის მრავალი ამოცანის გადაწყვეტისათვის.

ნავთობის მოპოვებას საქართველოს ტერიტორიაზე ხანგრძლივი ისტორია აქვს. ნავთობის გამოსავლები უხსოვარი დროიდან არის ცნობილი და წარმოშობილია აღმოსავლური სიტყვა „ნავთა“-დან, რაც გამოჟონვას, გამოდენას ნიშნავს. ძველთაგანვე ცნობილია ნავთობის 40-ზე მეტი რაიონი, რომელთაგან აღსანიშნავია გურიისა და კახეთის (ქიზიყი) რაიონები, სადაც ნავთობის ზედაპირულ გამოვლინებებს კუპრებს უწოდებდნენ.


XIX საუკუნის მეორე ნახევარში ნავთობის სამრეწველო მოპოვება მცირე სიღრმეზე გაბურთილი ჭაბურღილების მეშვეობით დაიწყო გარე კახეთის რამოდენიმე უბანზე – მირზაანი, შირაქი, ელდარი. საქართველოს წიაღის გეგმაზომიერი შესწავლა ნავთობგაზიანობის პერსპექტივობის განსასაზღვრავად და ბურღვითი სამუშაოების საბადოების გამოსავლენად ნავთობის მოსაპოვებლად დაიწყო XX საუკუნის 20-იანი წლებიდან, როდესაც ჩამოყალიბდა სპეციალიზებული საწარმო „საქნავთობი“. 80-იან წლებში თბილისის მიმდებარე რაიონში გამოვლენილი იქნა რამოდენიმე მაღალდებიტიანი ნავთობის საბადო (სამგორი-პატარძეული-ნინოწმინდა, სამგორის სამხრეთი თალი, თელეთი), რომელთა ექსპლუატაციისას მკვეთრად გაიზარდა ნავთობის მოპოვება. 1980-1983წწ. მოპოვება შეადგენდა 3,2-3,3 მლნ ტ-ს.[1]

დღეისათვის სს „საქნავთობის“ მონაცემებით საქართველოს გააჩნია 580 მლნ ტონა ნავთობისა და გაზის პროგნოზირებადი რესურსი, აქედან 200 მლნ ტონა მოდის შავი ზღვის შელფურ ნაწილზე, ხოლო დანარჩენი ნაწილდება აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ხმელეთზე. საქართველოს ტერიტორია დაყოფილია ცალკეულ სალიცენზიო ბლოკებად, რომლებიც მოიცავს, როგორც პერსპექტიულ და ნახევრადპერსპექტიულ, ასევე გაურკვეველი პერსპექტივების რაიონებსაც (სურ.1). საქართველო თავისი გეოლოგიური აგებულებით ერთდროულად მიეკუთვნება ორ გაზშემცველ ტერიტორიას: აღმოსავლეთ შავი ზღვის ოლქს (დასავლეთ საქართველო და სამხრეთ კასპიის ნავთობგაზიან პროვინციას (აღმოსავლეთ საქართველო) საქართველოში ცნობილია ნავთობისა და გაზის 1500-ზე მეტი გამოვლინება, აღმოჩენილია ნახშირწყალბადების 18 საბადო: 16 – ნავთობის, 1 – გაზპროდუქტის, 1 – გაზის. მათ შორის აღსანიშნავია თბილისისპირა – რაიონში განლაგებული, თავისი გეოლოგიური აგებულებით უნიკალური საბადოები, რომლებიც ნავთობის მნიშვნელოვან მარაგს შეიცავენ. კერძოდ, სამგორი-პატარძეულის ნავთობის საბადო მსოფლიო კლასი-ფიკაციით დიდი საბადოების რიცხვს მიეკუთვნება (მარაგი >30 მლნ ტონაზე)[2,3].

უცხოელი ინვესტორების მიერ განხორციელებულმა საძიებო და ნავთობმოძიებების სამუშაოებმა, უნდა განაპირობოს ნავთობისა და გაზის სამრეწველო მარაგების და მოპოვების მოცულობების თანდათანობითი ზრდა. სურათზე 1 წარმოდგენილია საქართველოს ნავთობების სალიცენზიო ბლოკების რუკა, ხოლო დიაგრამაზე 1 მოცემულია საქართველოს ნავთობისა და გაზის დაძიებული მარაგის გეოგრაფიული სტრუქტურა %.



სურათი 1. საქართველოს ნავთობების სალიცენზიო ბლოკების რუკა



დიაგრამა 1. საქართველოს ნავთობისა და გაზის მარაგები

- გარე კახეთის ნგრ 5 813; • თბილისისპირა ნგრ 119 554.4;
- დასავლეთ რუსთავი 2 212.3; • კოლხეთის ნგრ 546
- გურიის ნგრ 1 713.7; • ქართლი ნგრ 1 476.6

ბოლო 10-15 წლის განმავლობაში ქვეყანაში დაიწყო საქმიანობა უცხოურმა კომპანიებმა, რომლებსაც პროდუქციის წილობრივი განაწილების ხელშეკრულებები აქვთ გაფორმებული სახელმწიფოსთან. მიუხედავად იმისა რომ ამ კომპანიებმა უკვე საკმაოდ დიდი მოცულობის ძებნითი სამუშაოები ჩაატარეს თავიანთ სალიცენზიო ტერიტორიებზე (“ანადარკო” შავი ზღვის შელფი, “კანარგო” - თბილისისპირა რაიონში, “ფრონტერა” – გარე კახეთი), ახალი საბადოს აღმოჩენა ვერ მოხერხდა, თუმცა არსებობს ხელსაყრელი გეოლოგიური პროგნოზი.

საქართველოში ნავთობის ძებნა-ძიებით და მოპოვებით საქმიანობას შვიდი კომპანია ახორციელებს: “იორის ველი – ნავთობი და გაზი”, “კანარგო ჯორჯია”, “ფრონტერა”, “ნადარკო”, "Strait oil and gas"-ი, "Global oil and energy"-ი და "აქსაი BMC"-ი.

შპს “იორის ველი – ნავთობი და გაზი” საქართველოს უმსხვილესი ნავთობკომპანიაა, რომლის 100% წილს სახელმწიფო ფლობს. იგი დაარსდა 1995 წელს საქართველო-შვეიცარიის მიერ, რომელთაც წარმოადგენდნენ სს “საქნავთობი” და "National Petroleum Ltd." (NPL) (შვეიცარია). 2007წლიდან მისი ახალი მფლობელია “საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია”. შპს “იორის ველი – ნავთობი და გაზი”-ს საქმიანობის არეალს მოიცავს სამგორი-პატარაზეულის, სამგორის სამხრეთი თალის და კრწანისის ნავთობსაბადოებს, ხოლო 2007წლის აგვისტოდან თელეთის საბადოც. სალიცენზიო ფართობი 367,395 კვადრატული კილომეტრია, აქედან 234,125კმ² აუთვისებელია. კომპანიის ლიცენზია 2021წლადე აქვს.

“კანარგო ჯორჯია” – ნავთობისა და გაზის მოპოვებელი ამერიკული კომპანიაა, რომელიც დარეგისტრირებულია ნიუ-იორკში და ძირითადად საქართველოსა და ყაზახეთში საქმიანობს. “კანარგო ჯორჯიას სულ გაბურღილი აქვს ექვსი საზიებო ჭაბურღილი: მანავში, ნორიოსა და ნინოწმინდაში. “კანარგო ჯორჯიამ” საქართველოში პირველმა გამოიყენა ჰორიზონტალური ბირღვის ტექნოლოგია.

კომპანია “ფრონტერა”, რომლის სათაო ოფისი აშშ-ში მდებარეობს(დაფუძნდა 1996წ.) საქართველოში XII სალიცენზიო ბლოკზე (დედოფლისწყაროს რაიონი) საქმიანობს. კომპანიას მოპოვებული აქვს 32 ათასი ტონა ნავთობი, გაბურღა ერთი ჭაბურღილი და ამჟამად ბურღავს ტარიბანას საბადოს მიდამოებს, მირზაანის საბადოზე და ქედების ფართობზე. “ფრონტერას” ექსკლუზიური უფლება აქვს მოიძიოს და მოიპოვოს ნავთობი 5,500მ² ფართობის ტერიტორიაზე (25 წლიანი ხელშეკრულების მიხედვით).

“ნადარკო” მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი კომპანიაა მსოფლიოში. იგი სეისმოლოგიურ კვლევებს აწარმოებს შავი ზღვის ქართული ტერიტორიული წყლების სამ შელფურ ბლოკში (IIა, IIბ და III). იგეგმება პირველი საკვლევი-სადიებო ჭაბურღილის ბურღვა, რომლის სიღრმე ზღვის ფსკერიდან 3200 მეტრით არის განსაზღვრული. ველაზე პერსპექტიულ ობიექტად კომპანიის მიერ მიჩნეულია 3 სტრუქტურა, ნახშირწალბადების არასარისკო რესურსები თითოეულ ობიექტზე შეფასებულია 70 მილიონი ბარელიდა 1,3 მირიალდ ბარელამდე.

კომპანია “Strait oil and gas”-ი (დაფუძნებულია 2007წ.) აწარმოებს ნავთობის ძებნა-ძიების და მოპოვების სამუშაოებს მე-VI და VI-B-ზე ბლოკებზე (დასავლეთ საქართველო). კომპანია ვალდებულია სალიცენზიო ბლოკებზე ჩაატაროს გეოლოგიურ და გეოფიზიკურ კვლევები, აღადგინოს ძველი და გაბურღოს ახალი ჭაბურღილები.

Global oil and energy


“Global oil and energy”-ი (დაფუძნებულია 2007წ.) აწარმოებს ნავთობის ძებნა-ძიების და მოპოვების სამუშაოებს მე-VIII-B (დასავლეთ საქართველო) და მე- VIII (აღმოსავლეთ საქართველო) სალიცენზიო ბლოკებზე. კომპანია ვალდებულია სალიცენზიო ბლოკებზე ჩაატაროს გეოლოგიურ და გეოფიზიკურ კვლევები, აღადგინოს ძველი და გაბურღოს ახალი ჭაბურღილები.

“აქსაი BMC” (დაფუძნებულია 2007წ.) აწარმოებს ნავთობის ძებნა-ძიების და მოპოვების სამუშაოებს მე-5 (დასავლეთ საქართველო) სალიცენზიო ბლოკზე. კომპანია ვალდებულია სალიცენზიო ბლოკზე ჩაატაროს გეოლოგიურ და გეოფიზიკურ კვლევები, აღადგინოს ძველი და გაბურღოს ახალი ჭაბურღილები. []

ცხრილში 1 მოცემულია საქართველოში სხვადასხვა კომპანიების მიერ განხორციელებული ნავთობის მოპოვება.

ცხრილი 1. ნავთობის მოპოვება


ნავთობის მოპოვების მოცულობითი გადანაწილება კომპანიების მიხედვით									
კომპანიები	JKX	NNOC	კანარგო	NPL	კანარგო	კახეთის	ფრონტერა	საქნავ-	სულ
			ნორიო		სამგორი	ნავტობი		თობი	
ბურღვის მოცულობა,მ	3873	28526	4900	7372	2370	2900	7006	2210	59157



დიაგრამა 2. ნავთობის მოპოვება საქართველოში

უკანასკნელ წლებში უცხოელ ინვესტორთა დაინტერესებამ და ჩატარებულმა საძიებო-ბურღვითმა სამუშაოებმა დასახა საქართველოში ნავთობის მოპოვების, მისი გადამამუშავებელი მრეწველობის განვითარებისა და შემდგომი გაფართოების რეალური პერსპექტივა.


წარმოდგენილი სამუშაოს მიზანს შეადგენდა საცხენისის ახალი ჭაბურღილების ნავთობების კვლევა. საცხენისის საბადო მდებარეობს ქ.თბილისიდან ჩრდილო – აღმოსავლეთის მიმართულებით 35 კმ-ს დაშორებით. 15-30 კმ გაღის სარკინიგზო მაგისტრალი და შესაბამისად ბაქო-სუფსის ნავთობის მილსადენი. საცხენისის საბადოს ადგიმდებარეობა ნაჩვენებია სურათზე 2.



სურათი 2.

აღნიშნული საბადოს ნავთობ-გაზიანობის შესწავლა 1930 წელს დაიწყო. 1934-1938 წლებში გაიბურღა სტრუქტურული საცდელი ჭაბურღილები. შესწავლით დადგინდა შუა მაიკოპური ნალექების ნავთობშემცველობა. 1956 წელს საცხენისის №1 ჭაბურღილმა გაჭრა პროდუქტიული ფენა მაიკოპურ ნალექებში, რის შედეგადაც დაიწყო მასშტაბური ბურღვითი სამუშაოები. ნორიო-საცხენისის ანტიკლინის ჩრდილოეთ ფრთა შედგება შუა და ზედა

მიოცენური და მაიკოპური ნალექებისაგან. საცხენისის საბადოს გეოლოგიური რუკა წარმოდგენილია ნახაზზე 3. (მასშტაბი 1:100000).



ნახაზი 3.


ამჟამად მიმდინარეობს საცხენისის საბადოების ბურღვა. ჭაბურღილების საშუალო სიღრმე 450მ-ია. ჩვენს მიერ შეწავლილი იყო საცხენისის საბადოს ახალი №7, 11, 12, 13 და 14 ჭაბურღილები. ამ ნავთობების ფიზიკურ-ქიმიური მახასიათებლები წარმოდგენილია ცხრილში 1. ნავთობების გამოხდის მრუდები წარმოდგენილია დიაგრამაზე 2.

ცხრილი 1. საცხენისის ნავთობების ფიზიკურ-ქიმიური მახასიათებლები

ნავთობი “საცხენისი”	სიმკვრივე კგ/მ ³ , 20°C	სიმკვრივე კგ/მ ³ , 15°C	მოდულიური წონა, °API	კონკრეტული სიბლენტი 20°C, sst	დინამური სიბლენტი MIP a. c	შეცველობა %						მეფიანობა, მკ 1კ ნავთობზე	მეფური რიცხვი	გაფრენის ტემპერატურა, °C	გამოსავალი	
						ბარაფანი	ასფალტენები	ფოსფი	ვოგერდის	ნაცრიანობა	მექანიკური მინარეგები				20°C- მდე	320°C- მდე
#7	760,5	764,5	53,59	0,9232	0,7020	0,045	0,024	0,8	0,1	0,0011	0,004	0,65	0,032	>-30	81,0	92
#11	808,2	812,0	42,76	2,279	1,8419	1,05	0,08	1,8	0,1	0,0021	0,19	1,3	0,059	>-20	54,0	82
#12	787,1	791,0	47,38	1,2560	0,9843	0,50	0,038	1,2	0,1	0,0013	0,071	0,78	0,035	>-30	63,0	86
#13	812,2	816,0	41,9	2,4088	1,9566	1,1	0,075	2,2	0,11	0,0034	0,07	1,5	0,068	>-20	54,0	81
#14	804,2	808,0	43,62	1,6891	1,3583	1,03	0,07	1,75	0,11	0,0020	0,21	1,2	0,05	>-20	54,0	80

ცხრილი 2. ნავთობების გამოხდა


ნავთობი დასახელება “საცხენისი”	დუღილის დასაწყისი, °C	გამოხდება (%-Si), °C ტემპერატურამდე												სულ, %
		100	120	140	160	180	200	220	240	260	280	300	320	
№7	25	43	59	69	74	78	81	85	87	90	-	-	-	90
№11	32	22	32	39	44	50	54	59	64	69	73	77	81	82
№12	28	25	36	45	52	58	63	68	73	78	82	85	86	86
№13	35	23	33	40	45	50	54	59	64	69	74	78	81	81
№14	31	23	32	39	45	50	54	59	63	69	75	79	80	80



დიაგრამა 2. საცხენისის ნავთობების: №7, №11 №12, №13, №14 ჭაბურღილების გამოსხდის მრუდები

ასევე შესწავლილი იყო ნორიოს ახალი ჭაბურღილი №200 ფიზიკურ-ქიმიური მახასიათებლები. ნავთობის მახასიათებლები მოყვანილია ცხრილში 3, ხოლო გამოსხდის მრუდები ნაჩვენებია დიაგრამაზე 3.

მახასიათებლები	სიდიდე	განსაზღვრის მეთოდი
სიმკვრივე 20 ⁰ C-ზე, კგ/მ ³	774,4	ASTM D4052
სიმკვრივე 15 ⁰ C-ზე, კგ/მ ³	774,8	ASTM D4052
ხვედრითი წონა, ⁰ API	51,23	ГОСТ 51069
კინემატიკური სიბლანტე 20 ⁰ C, სსტ	1,43	ASTM D445
დინამიური სიბლანტე, МПа.с	1,11	ASTM D445
გაყინვის ტემპერატურა, ⁰ C	> -20	ASTM D97
ნაცრიანობა, %	0,0004	ГОСТ 1461
თანაფარდობა V/Ni	< 1	ГОСТ 10364
მჟავიანობა, მგ KOH 1გ ნავთობზე	1,04	ГОСТ 5985
მჟაური რიცხვი	0,097	ГОСТ 5985
ასფალტენების შემცველობა, %	0,1044	ГОСТ 11851
ფისების შემცველობა, %	0,95	ГОСТ 11851
მექანიკური მინარევების შემცველობა, %	0,07	ASTM D 473
წყლის შემცველობა, %	არ შეიცავს	ГОСТ 2477
პარაფინების შემცველობა, %	0,38	ГОСТ 11851
გოგირდის შემცველობა, %	0,1	ГОСТ 1437
ნათელი ფრაქციების გამოსავალი, %		
200 ⁰ C - მდე	76	ГОСТ 2177
300 ⁰ C - მდე	98	



დიაგრამა 3. ნორიოს ნავთობის გამოსხდის მრუდი. (ჭაბურღილი №200)

ლიტერატურა – REFERENCES – ЛИТЕРАТУРА

1. <http://www.menr.gov.ge/4385>
2. საქართველოს ნავთობი და გაზი, 2003, #1, გვ.21.
3. www.resonancedaily.com

საქართველოში ნავთობის მრეწველობის განვითარების პერსპექტივები

ნათელა ხეცურიანი, ზაზა მოლოდინაშვილი, გოჩა შავგულიძე
*პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტი
საქართველოს ნავთობქიმიკოსთა ასოციაცია*

რეზიუმე

განხილულია საქართველოში ნავთობის მრეწველობის განვითარების პერსპექტივები. წარმოდგენილია საქართველოში მოქმედი უცხოური კომპანიები და მათი როლი ნავთობის მოპოვების საქმეში. ასევე შესწავლილია საცხენისის და ნორიოს ახალი ჭაბურღილების ნავთობების ფიზიკური-ქიმიური მახასიათებლები. მსუბუქი ფრაქციების გამოსავალი შეადგენს 98%. ორივე ნავთობი წარმოადგენს საუკეთესო ნედლეულს მცირეტონაჟიანი სასაქონლო ნავთობპროდუქტების მისაღებად.

ПЕРСПЕКТИВЫ РАЗВИТИЯ НЕФТЯНОЙ ПРОМЫШЛЕННОСТИ ГРУЗИИ

Н.Т.Хецуриани, З.Ф.Молодинашвили, Г.Г.Шавгулидзе
*Институт физической и органической химии им.П.Г.Меликишвили
Ассоциация нефтехимиков Грузии*

РЕЗЮМЕ

В статье рассмотрены перспективы развития нефтяной промышленности в Грузии. Представлены иностранные компании, работающие в Грузии и их роль в нефтедобыче. Также изучены физико-химические характеристики новых месторождения нефти Норие и Сацхениси. Выход светлых фракции составляет 98%. Изученные нефти представляют собой лучшее сырье для получения малотоннажных товарных нефтепродуктов.

PERSPECTIVES OF DEVELOPMENT OF OIL INDUSTRY IN GEORGIA

N. Khetsuriani, Z. Molodinashvili, G. Shavgulidze
*Petre Melikishvili Institute of Physical and Organic Chemistry
Georgian Association of Petrochemists*

SUMMARY

The article describes the development of oil industry in Georgia. Foreign companies operating in Georgia and their role in oil production are represented. Physical and chemical characteristics of Norio and Satskhenisi new oil deposits had been also studied. The output of light fractions from them is 98%. The studied oils are the best raw material for obtaining low-tonnage commercial petroleum products.

საქართველოს ნავთობების რაციონალური გამოყენება ტექნოლოგიური კლასიფიკაციის მიხედვით

გურამ ხიტირი

ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტი

ნაჩვენებია საქართველოს ნავთობების რაციონალური გამოყენების სქემა, კვლევის შედეგად მიღებული მონაცემების განზოგადოების და ტექნოლოგიური კლასიფიკაციის მიხედვით, მცირე ტონაჟიანი, დეფიციტური სამრეწველო და საყოფაცხოვრებო დანიშნულების პროდუქტების მიღების მიზნით.

საქართველოში ნავთობების ტრანსპორტირება ხდებოდა ჩრდილოეთ კავკასიიდან, ბაქოდან, ციმბირიდან. მას ემატებოდა საქართველოს ნავთობები და მათი ნარევის გადამუშავება ხდებოდა ბათუმის ნავთობგადამამუშავებელ ქარხანაში ენერგეტიკული დანიშნულების ნავთობპროდუქტების მისაღებად.

ბათუმის ნავთობგადამამუშავებელ ქარხანაში ხდებოდა ბენზინების კატალიზური რიფორმინგის შედეგად დიზელის საწვავის, საავიაციო კეროსინის, სხვადასხვა ზეთების აღსორციელებული გაწმენდის შედეგად, აგრეთვე გუდრონების დაჟანგვის შედეგად ბითუმების მიღება. არსებობდა გამონაკლისი ნორიოს უნიკალური ნავთობის სახით, რომელიც გამოიყენებოდა ლუმინესცენტური დეფექტოსკოპისათვის ლუმინოფორის ნორიოლ-ა-ს წარმოება, რომელიც ლილოს ექსპერიმენტულ ბაზაში ხორციელდებოდა აკად. ლ. მელიქაძის საავტორო უფლების საფუძველზე და მიეწოდებოდა სამხედრო დანიშნულების მანქანათმშენებელ, საავიაციო, გემთმშენებელ სხვადასხვა 50-მდე ქარხანას.

საქართველოს ნავთობების შესწავლა ადრე მიმდინარეობდა სპონტანურად სხვადასხვა მკვლევარების მიერ. 1978 წელს საქართველოში სამგორის საბადოს აღმოჩენასთან დაკავშირებით, რომლის წარმადობამ 3,5 მლნ.ტ მიაღწია, ნავთობის ქიმიის ლაბორატორიაში დღის წესრიგში დადგა ნავთობების განსაკუთრებით ღრმა შესწავლის საკითხი გაერთიანებული უნიფიცირებული პროგრამის მიხედვით.

სამგორის, თელეთის, სუფსის, ნორიოს, რუსთავის, ნინოწმინდის ნავთობების შესწავლა მოხდა აღნიშნული უნიფიცირებული პროგრამით, რის შედეგად ისინი შეტანილია ნავთობების კვლევის საკავშირო კარტოტეკაში [1].

ამ კვლევების საფუძველზე ყურადღება დაეთმო ნავთობების რაციონალური გადამამუშავების გზების ძიებას, მათგან ძვირფასი, დეფიციტური მცირეტონაჟიანი პროდუქტების მიღების მიზნით.

შესწავლის შედეგად დადასტურდა მცირეგოგირდიანი ელექტროლული კოქსის მიღების შესაძლებლობა სამგორის ნავთობიდან [2].

თხევადი პარაფინების მიღება და მათი დაჟანგვის შედეგად ცნიმოვანი მჟავების და საყოფაცხოვრებო დანიშნულების მცირეტონაჟიანი პროდუქტების მიღების შესაძლებლობა.

საქართველოს ნავთობების ადრეული მასალების და უნიფიცირებული პროგრამის კვლევების, ტექნოლოგიური კლასიფიკაციის დადგენის და მაჩვენებლების შეჯერების შედეგად საქართველოს ნავთობებიდან შესაძლებელია მიღებული იყოს შემდეგი ნავთობპროდუქტები, რომლებიც აკმაყოფილებენ სტანდარტების მოთხოვნებს, როგორებიცაა პირდაპირი გამოხდის ბენზინები სამრეწველო ტექნიკური მიზნებისათვის (სამგორი, საცხენისი. მირზაანი, რუსთავი, ნინოწმინდა), სანათი ნავთი (სამგორი, საცხენისი, თელეთი), დიზელის საწვავი (სამგორი,

თელეთი, რუსთავი), საწვავი მაზუთი (სამგორი, თელეთი, რუსთავი, მირზაანი), საცხები ზეთები (თელეთი, მირზაანი), საგზაო ბითუმები (თელეთი, სუფსა, ტარიბანი, კავთისხევი).

კვლევების შედეგად მოხდა ნორიოლ-ა-ს გაუმჯობესება და მიღებულ იქნა ნორიოლ-ა 400, სადაც ექსტრაქცია დეფიციტური და ძვირადღირებული პეტროლეინის ეთერის ნაცვლად ხორციელდებოდა უფრო მეტად სელექტიური იაფი გამხსნელებით, როგორცაა თხევადი პროპან-ბუტანი და გაზოკონდენსატი, რის შედეგად მკვეთრად გაიზარდა ლუმინესცენტური ინტენსივობა და მიღებული ნორიოლ-ა 400 აკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტებს ხარისხის მიხედვით [3, 4].

დამატებით სხვადასხვა მაჩვენებლების განსაზღვრის შედეგად საქართველოს ნავთობებს დაუდგინდათ შიფრი ტექნოლოგიური კლასიფიკაციის მიხედვით, დახასიათება ხდებოდა გოგირდის შემცველობის მიხედვით, 350⁰C-მდე ფრაქციების შემცველობის დადგენით, ზეთების შემცველობის და ხარისხით, პარაფინების შემცველობის რაოდენობის მიხედვით [5].

ქვემოთ მოცემულია საქართველოს ნავთობების მაჩვენებლები, შიფრები და მცირეტონაჟიანი დეფიციტური პროდუქტების მახასიათებლები.

საქართველოს ნავთობების შიფრი

სამგორი	IT ₁ M ₂ I ₂ II ₂	ილდოკანი	IT ₂ M ₄ I ₂ II ₃
თელეთი	IT ₂ M ₄ I ₁ II ₁	შირაქი	IT ₁ M ₁ I ₂ II ₁
ნორიო	IT ₁ M ₄ I ₂ II ₁	ტარიბანი	IT ₁ M ₁ I ₂ II ₃
მირზაანი	IT ₁ M ₁ I ₁ II ₁	საცხენისი	IT ₁ M ₄ I ₁ II ₁
სუფსა	IT ₂ M ₁ I ₁ II ₂	ნინოწმინდა	IT ₁ M ₂ I ₁ II ₂
კავთისხევი	IT ₁ M ₄ I ₁ II ₁	რუსთავი	IT ₁ M ₄ I ₂ II ₃

ცხრილი 1. საქართველოს ნავთობების დახასიათება

ნავთობი	ρ ₄ ²⁰	ჰ ₅₀	გოგირდი %,	აქტივობა %,	ასფალტენები %,	პარაფინები %,	კოქსი, %	ფეთქების ტ-რა, °C	გაყინვის ტ-რა, °C	გამოსავალი %						
										ბენზინი 150°C	რეაქტივ საწვავი 120- 240°C	ნავთობის საწვავი 150- 280°C	ღებულის საწვავი 240- 350°C	ზეთები 350- 500°C	მაზუთი	გურბანი
სამგორი	0,8373	1,16	0,17	6	0,95	14,70	1,79	-23	+3	30,6	22,5	30,0	25,4	23,3	31,0	7,4
თელეთი №8	0,8720	1,35	0,37	22	1,70	0,51	3,00	-13	-60	25,5	21,1	24,8	22,7	28,7	46,8	18,1
ნორიო (მსუბუქი) ჭაბ.15	0,8291	1,05	0,11	22	-	0,51	1,30	-9	-20	19,0	21,0	22,0	18,0	26,0	48,0	22,0
ნორიო (ძიმე) ჭაბ.5	0,9046	1,47	0,12	19	-	0,60	1,50	-8	-18	6,1	15,5	19,8	28,0	25,0	53,0	28,0
მირზაანი ჭაბ.37	0,8650	1,60	0,22	25,8	0,95	0,80	2,61	5,2	>-40	16,2	26,2	20,0	19,0	27,5	43,1	15,6
სუფსა ჭაბ.40	0,9306	3,16	0,41	48	2,80	0,61	3,90	46	-13	13,1	20,7	21,2	21,0	38,0	37,0	22,9
კავთისხევი ჭაბ.13	0,9233	8,16	0,46	62	-	-	-	53	-	2,3	9,0	16,0	-	-	70,0	-
ილდოკანი	0,8300	-	0,13	-	7,00	10,80	-	-	-	3,5	19,4	28,0	39,2	34,4	47,0	13,0
შირაქი ჭაბ.49	0,8650	2,10	0,15	18,7	-	0,47	1,21	1	-39	18,2	29,7	23,5	30,0	10,0	25,0	15,0
ტარიბანი	0,8668	1,78	0,38	34	5,16	8,28	4,81	-	+8	6,0	-	32,0	23,6	-	62,0	-
საცხენისი ჭაბ.4	0,8350	1,04	0,20	3,5	0,30	2,72	0,60	-10	-65	33,0	-	38,0	-	14,0	29,0	15,0

წარმოდგენილი საქართველოს ნავთობების დახასიათებიდან ჩანს, რომ ისინი ისევე განსხვავებულები არიან ერთმანეთისაგან, როგორც საქართველოს მრავალფეროვანი ბუნება. უნდა აღინიშნოს ის, რომ უკლებლივ ყველა მათგანი მიეკუთვნება I კლასის ნავთობებს, რაც გამოიხატება მათ მცირე გოგირდიანობაში - 0,5%-ზე ნაკლები. ეს ციფრი ძალიან

მნიშვნელოვანია, რადგან გოგირდის შემცველობაზეა დამოკიდებული გადამამუშავებელი აპარატურის კოროზიულობა და გადამამუშავების პროცესის სირთულე, როგორცაა გაუგოგირდოვანება და მასთან დაკავშირებული ხარჯები.

ცხრილი 2. საქართველოს ნავთობების გუდრონის დახასიათება მცირეგოგირდიანი ელექტროდული კოქსის მიღების მიზნით

მახასიათებლები	მონაცემები
სიმკვრივე, 20 ⁰ C	0,991
გოგირდის შემცველობა, %	0,45
კოქსიანობა, %	13,8
ნაცრიანობა, %	0,038
ფრაქციული შემადგენლობა, ⁰ C	
10% გამოიხდება, ⁰ C	500
20% გამოიხდება, ⁰ C	536
კოქსის გამოსავალი	24

ცხრილი 3. ლუმინოფორ ნორიოლ-ა 400-ის ფიზიკო-ქიმიური და ლუმინესცენტური მახასიათებლები

მახასიათებლები	მონაცემები
სიმკვრივე, 20 ⁰ C	0,949
მოლეკულური წონა	540
გოგირდის შემცველობა, %	0,29
ნაცრიანობა, %	0,36
აფეთქების ტ-რა, ⁰ C	330
კოქსი, %	3,8
სიბლანტე, მმ ² /წმ	69,5
მჟავური რიცხვი, მგ KOH 1 გ	0,05
ლუმინესცენტური ინტენსივობა, %	450
ფერის ფაქტორი, %	1,2
სტაბილობა, %	8,0

უნდა აღინიშნოს მცირეგოგირდიანი ელექტროდული კოქსის მიღების შესაძლებლობა სამგორის მცირეგოგირდიანი ნავთობიდან, რადგან არ არსებობს კოქსის გაუგოგირდოვნების მეთოდი და კოქსის მისაღებად საჭირო ნედლეული, სამგორის ნავთობის გუდრონი გამოირჩევა აგრეთვე გოგირდის მცირე შემცველობით და დაბალი ნაცრიანობით, რაც ასევე ძალიან მნიშვნელოვანია ამ დეფიციტური პროდუქტის მისაღებად.

მცირეგოგირდიანი ელექტროდული კოქსი ესაჭიროება ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანას, რაც ხელს შეუწყობს სამგორის ნავთობის რაციონალურ გადამამუშავებას.

ასევე მნიშვნელოვანია ნორიოს უნიკალური ნავთობის გამოყენება ისეთი დეფიციტური და ძვირფასი პროდუქტის, როგორცაა ნორიოლ-ა 400-ის ახალი გაუმჯობესებული ლუმინოფორი, რომელიც ხარისხით აკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნებს ლუმინოფორებზე. აღსანიშნავია, რომ მისი გამოყენების პერსპექტივა არსებობს როგორც საქართველოში საავიაციო და მანქანათმშენებელ ქარხნებში, ასევე საზღვარგარეთ.

ლიტერატურა – REFERENCES – ЛИТЕРАТУРА

1. Хитири Г.Ш. Автореферат диссертации на звание канд.техн.наук, Баку, 1990.
2. Хитири Г.Ш. Возможность получения малосернистого электродного кокса из различных отходов нефти. Труды института физической и органической химии им. Петре Меликишвили, Тбилиси, 2011.
3. Хитири Г.Ш. Получение люминесцентных компонентов с помощью различного сырья и технологии. Труды института физической и органической химии им. Петре Меликишвили, Тбилиси, 2011.
4. Школьников В.М. Топлива, смазочные материалы, технические жидкости, ассортимент и применение. Москва, «Техинформ», 1999, с. 596.
5. Красовицкий Б.М., Болотин Б.М. Органические люминофоры. 1984, с. 334.

RATIONAL APPLICATION OF GEORGIAN OILS BY MEANS OF TECHNOLOGICAL CLASSIFICATION

G.Sh. Khitiri

Petre Melikishvili Institute of Physical and Organic Chemistry of Ivane Javakhishvili Tbilisi State University

SUMMARY

Advisability of rational application of Georgian oils by investigated characteristics and technological classification has been shown in order to obtain deficit, low-tonnage commodity products.

РАЦИОНАЛЬНОЕ ИСПОЛЬЗОВАНИЕ ГРУЗИНСКИХ НЕФТЕЙ С ПОМОЩЬЮ ТЕХНОЛОГИЧЕСКОЙ КЛАССИФИКАЦИИ

Г.Ш.Хитири

Институт физической и органической химии им. Петре Меликишвили Тбилисского Государственного Университета им. Иване Джавахишвили

РЕЗЮМЕ

Показана целесообразность рационального использования грузинских нефтей с помощью исследованных показателей и технологической классификации с целью получения дефицитных, малотоннажных продуктов бытового назначения.

**არამეტალური ოქტანმარეზულირებაელი დანამატები ნავთობური
საწვავებისათვის**

ნ.ნონიკაშვილი, ნ.წეროძე, ი.მიქაძე, მ.სტეფანიშვილი, მ.ჯაფარიძე, თ.უჩანეიშვილი, ა.დოლიძე

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი/პეტრე მელიქიშვილის
ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტი
თბილისი, საქართველო
nino-nonikashvili@yandex.ru

ნავთობური საწვავების, კერძოდ საავტომობილო ბენზინების საექსპლოატაციო მაჩვენებლებიდან ნახევარზე მეტი ეკოლოგიური მახასიათებლებია. ამჟამად განვითარებულ ქვეყნებში სულ უფრო იზრდება მოთხოვნები ამ უკანასკნელთა მიმართ. ტყვიის და მძიმე მეტალების შენაერთების საფუძველზე დამზადებული ანტიდეტონაციური დანამატების აკრძალვასთან ერთად შეზღუდულია ზოგიერთი ნახშირწყალბადების შემცველობაც. პრაქტიკიდან ამოღებულია ისეთი ეფექტური დანამატები, როგორცაა ტეტრაეთილტყვია, მანგანუმის და რკინის კომპლექსური ნაერთები, რომლებიც ტრანსპორტის ექსპლუატაციისას აბინძურებენ გარემოს. ისტორიულად პირველი ანტიდეტონაციური დანამატი ტეტრაეთილტყვია გამოყენებული იქნა 1908 წლიდან (დეტროიტი, აშშ), ხოლო არამეტალური ექსტრალინი (მ-მეთილანილინი) ოქტანის რიცხვის ასამაღლებლად ემატებოდა საავიაციო ბენზინს 1919 წლიდან. აღსანიშნავია, რომ ტეტრაეთილტყვია გამოიყენებოდა 70 წელზე მეტი ხნის განმავლობაში და მხოლოდ ეკოლოგიური მოთხოვნების გამო აკრძალა, თუმცა ტექნიკურად ის დღემდე ყველაზე ეფექტურია. ბენზინების ქიმიური სტაბილურობის დაბალი დონე გამოასწორა ცნობილმა კომპანია "სტანდარტილმა", რომელიც 1937 წლის შემდეგ იყენებს იონოლს. 1959 წლებიდან გამოიყენება დეპრესორული დანამატები, რომლებიც შესაძლებლობას იძლევიან კორექტირებული იქნას საწვავების დაბალტემპერატურული თვისებები. შემდგომ, შეიქმნა აალების პრომოტორები, ასევე გამრეცხი, ოდორანტი, მარკერი და სხვა ტიპის დანამატები.

გაზრდილია მოთხოვნა საწვავის ექსპლუატაციის მახასიათებლებზე. თანამედროვე საავტომობილო ბენზინი უნდა ხასიათდებოდეს მაღალი ოქტანური რიცხვით, ძრავის მსუბუქი ჩართვით, ნაკლები დანახარჯით, მაღალი სიმძლავრით, ოპტიმალური ფრაქციული შემადგენლობით. როგორც უკვე აღნიშნეთ აკრძალულია ისეთი დანამატების გამოყენება, რომლებიც შეიცავენ ტყვიას და მძიმე მეტალების ნაერთებს, ხოლო ბენზოლის და ჯამური არომატიკის შემცველობა შეზღუდულია შესაბამისად 0,8-დან 25%-მდე. ბოლო პერიოდში რიგ ქვეყნებში შეიზღუდა ასევე ჟანგბად- და ფოსფორშემცველი დანამატების გამოყენებაც. ასეთი მკაცრი მოთხოვნები განაპირობებენ მაღალოქტანური ბენზინების წარმოების ტექნოლოგიური კონფიგურაციის შეცვლას. აღნიშნულის გამო ეკონომიკური ფაქტორების გათვალისწინებით აქტუალურია პირდაპირნახადი ბენზინის C_5-C_7 ფრაქციის (დ. დ. $70\ C^0$) ჩონჩხის იზომერიზაციის და ლიგრონის ფრაქციის ($70-200\ C^0$) რიფორმინგის შედეგად მიღებული პროდუქტების საფუძველზე საბაზო ბენზინის მიღება ბენზოლისა და ჯამური არომატიკის ნორმირებული შემცველობით ამასთან ერთად პერსპექტიულია აგრეთვე არაკონდინციური თხევადი რაკეტული საწვავიდან ქსილიდინების ფრაქციის გამოყოფა და მისი შემდგომი აღსორბციული დაყოფის შედეგად მიღებული მაღალოქტანური კომპონენტის – 2,4-დიმეთილ-ანილინის საფუძველზე მაღალხარისხოვანი ანტიდეტონაციური კომპოზიციების შექმნა.

წარმოდგენილია ნ-პენტანის და ბენზინის ვიწრო ფრაქციის (C_5-C_7) კატალიზური იზომერიზაციის შედეგები, კომპლექსურ კატალიზატორზე ($0,5\ Pd\ 0,8P\ O\ 3/Al_2O_3=45$). დადგენილია, რომ ნ-პენტანის 65% კონვერსიის შემთხვევაში, სელექტიურობა მაქსიმალურია და 93,2%-ს შეადგენს, ხოლო ბენზინის ვიწრო ფრაქციის იზომერიზაციის

შემთხვევაში მიღწეულია იზოპარაფინების 62%-იანი გამოსავალი, რაც 11-14%-ით მეტია საწყის ნედლეულთან შედარებით. იზომერიზაციის ოქტანური რიცხვი 27 – 29 პუნქტით იზრდება.

სამგორის ნავთობის ბენზინის ვიწრო ფრაქციების (დ.დ.–70⁰; 70–150⁰; 150–200⁰) კატალიზური არომატიზაციისას Cr³⁺ იონებით მოდიფიცირებული მაღალსილიციუმემცველი სინთეზური ცეოლითის (ЦБК) თანაობისას შესაბამის ფრაქციებში არომატული ნახშირწყალბადების შემცველობა დაახლოებით 3–ჯერ იზრდება. მიღებული იზომერიზატების და რიფორმატების გაერთიანებით და ქსილიდინის მრავალფუნქციური საერთაშორისო სტანდარტებით გათვალისწინებულ ეკოლოგიურ ნორმებს.

საავტომობილო ბენზინებში ტეტრაეთილტყვიის აკრძალვა და არომატული ნახშირწყალბადების შემცველობის შეზღუდვა განპირობებულია გარემოს ეკოლოგიური პირობების დამძიმების გამო. მომავალში ეს შეზღუდვები კიდევ უფრო გამკაცრდება. ამასთან დაკავშირებით ბენზინების ოქტანური რიცხვის კომპენსაციისთვის მნიშვნელოვანი ხდება ნ-პარაფინული ნახშირწყალბადების იზომერიზაციის პროცესების შესწავლა და ამ პროცესებისთვის იაფი და ეფექტური კატალიზატორების შექმნა.

ზემოდან აღნიშნულთან დაკავშირებით ჩვენს მიერ შეაწავლილია C₅ - C₈ შედგენილობის ნ-პარაფინული ნახშირწყალბადების იზომერიზაციის პროცესები მაღალსილიციუმემცველი ცეოლიტების თანაობისას, რომელთა შედგენილობაში აქტიურ კომპონენტად გამოყენებული იყო პლატინა და პალადიუმი, ხოლო პრომოტორების სახით – იშვიათმიწა ელემენტები: Pr, Er, Ce, Ho და მათი ნარევი. საწყისი ცეოლიტების სახით გამოყენებული გვქონდა სინთეზური მორდენიტი სილიკატური მოდულით 9,3 და HCBK – ცეოლიტი სილიკატური მოდულებით 35 და 180, აგრეთვე ბუნებრივი ცეოლიტები – მორდენიტ-შემცველი ტუფი (რატეკანი) და კლინოპტილოლითი (თეძამი). ცდები ჩატარებულია 553 – 653 K ტემპერატურულ და 0,5 -1,5 სთ⁻¹ მოცულობითი მოცულობითი სინქარების ზღვრებში, წყალბადის თანაობისას H₂/C_nH_{2n+2} მოლ. თანაფარდობით, შერჩეულია ოპტიმალური პირობები.

დადგენილია, რომ ყველა შესწავლილ ცეოლიტებში პალადიუმის 0,5%(მას) და იშვიათმიწა ელემენტების 0,8%-მდე დატანით მკვეთრად იზრდება აღნიშნული კონტაქტების სელექტიურობა. კატალიზატორების აქტიურობა დამოკიდებულია წინასწარი დამუშავების პირობებზე და მომზადების მეთოდებზე.

ბუნებრივი ცეოლიტებიდან მომზადებული კატალიზატორებიდან 0,5Pd+0,8PDD/-კლინოპტილოლითი იმავე შედგენილობის მორდენიტ-შემცველ ტუფთან შედარებით ხასიათდება მაღალი აქტიურობით (სელექტიურობა 86%).

ამრიგად, გამოყენებული არამეტალური ოქტანმარეგულირებელი დანამატები არამხოლოდ აუმჯობესებენ საწვავის მახასიათებლებს, არამედ ეკოლოგიურად ნაკლებად აბინძურებენ გარემოს.

მაღალოქტანური ბენზინების მიღების პროცესში გარემოსდაცვითი მოსაზრებების გამო ტეტრაეთილტყვიის აკრძალვამ მოითხოვა დიდი დანახარჯები ქარხნების ტექნოლოგიური კონფიგურაციის შესაცვლელად, ასევე ძვირადღირებული დანამატების დასამზადებლად. რიგ შემთხვევაში მაღალოქტანური ბენზინის წარმოება შეუძლებელია მაღალოქტანური ანტიდეტონაციური დანამატების გარეშე. თანამედროვე ღონის ქარხნებში მაღალოქტანური ბენზინის მისაღებად ხშირ შემთხვევაში საჭირო ხდება ათამდე კომპონენტისა და დანამატის გამოყენება, რაც ჩვეულებრივ ხდება კომპიუტერული პროგრამების მეშვეობით.

წვის დარეგულირებისათვის გამოიყენება ე.წ. ოქსიგენატები, მაგ. მეთილმესამეული ბუთილის ეთერი MTBE, რომლის ფართოდ გამოყენება შეზღუდულია მაღალი ფასის გამო და ასევე, რაოდენობრივიათაც ბევრია საჭირო 10-20%. ამასთან ერთად სახიფათოა მისი მოხვედრა წყალში, მაგ. აშშ-ს მთელ რიგ შტატებში MTBE-ს გამოყენება იახტების მოტორების საწვავად აკრძალა. უკეთესი ეფექტი მიიღება, როდესაც კომპოზიციაში გამოიყენება ყველა

ზემოთ ჩამოთვლილი კომპონენტი, სხვადასხვა თანაფარდობით. ოქტანმასტაბილიზირებელ დანამატებად გამოიყენება სხვადასხვა სპირტები, როგორც დაბალი, ასევე მაღალი რიგის, მიღებული ადგილობრივი მცენარეული ანარჩენებისაგან ან მათი მოდიფიცირების პროდუქტები.

ჩვენი სამუშაო ჯგუფის ყურადღება ამაჟამად ეთმობა მაღალოქტანული დანამატის მიღებას მეტალის შემცველობის გარეშე განტოტვილი ნახშირწყალბადების დიმერიზაციით. ამ მხრივ დაგროვილია მნიშვნელოვანი გამოცდილება, კერძოდ, კატალიზური დიმერიზაციის საფუძველზე დაგეგმილია იზოოქტანისა და მისი ნაწარმების მიღება იზობუთან-იზობუთილენის ფრაქციისა და იზობუთანოლის გარდაქმნების საფუძველზე. ამ დროს მიიღება მაღალოქტანური კომპოზიცია, რომელიც არ შეიცავს გარემოსათვის სახიფათო მეტალებსა და ამინებს. გარკვეულწილად, ეს ეხმაურება გაზოქიმიის ამოცანებს, რაც ძალზე პერსპექტიულად მიგვაჩნია.

შემუშავებულია მთელი რიგი დანამატების კომპოზიციები, რომლებიც ანტიდეტონაციურ კომპონენტთან ერთად შეიცავენ საავტომობილო გამონახოლქვის შემამცირებელ ნაერთებსაც. საქართველოსთვის ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საავტომობილო პარკის სიძველის გამო.

სულ უფრო მეტად გამოიყენება ე.წ. გამრეცხი დანამატები, რომლებიც ხელს უშლიან ნამწვის წარმოქმნას და მის დამაგრებას მეტალის ზედაპირზე, ხელს უწყობენ ნარჩენების შემცირებას. გამოიყენება ანტიკოროზიული, ბაქტერიოციდული, ოდორანტიული, მარკირების და სხვა ტიპის დანამატები.

საქართველოში წარმოებული და შემოტანილი ბენზინების ხარისხის და ეკოლოგიური უსაფრთხოების კორექტირებისა და ოპტიმიზაციისათვის მიზანშეწონილია, დანამატების ადგილობრივი მცირეტონაჟიანი წარმოების ორგანიზაცია. ჩვეულებრივ, პირველ ეტაპზე ხდება ცნობილ საზღვარგარეთულ ფირმასთან ერთობლივი საწარმოს ჩამოყალიბება, აქტიური საწყისების შემოტანით და ადგილზე ფორმულაციით. შემდგომ ეტაპზე შესაძლებელია ადგილობრივი ბუნებრივი ნედლეულის გამოყენებაც და ეფექტური, შედარებით იაფი კომპოზიციის შემუშავება. ეს გაცილებით ეკონომიკურად ხელსაყრელია, ვიდრე გამზადებული საბოლოო პროდუქტის შემოტანა. წარმოდგენილი მცირეტონაჟიანი საწარმოს პროდუქციის მოცულობისა და ნომენკლატურის განსაზღვრა უნდა მოხდეს საქართველოში ნავთობ-გადამამუშავებელი მრეწველობის განვითარებასთან კოორდინაციაში.

ლიტერატურა-REFERENCES-ЛИТЕРАТУРА

1. Учанеишвили Т.Г.; Церодзе Н.П.; Ноникашвили Н.У; Долидзе А.В. Улучшение экологических характеристик нефтяных топлив каталитическими методами; Известия Академии наук “Мацне”, 2007, Т.33, #3, с. 345.
2. ნ.ბარბაქაძე, ნ.წეროძე, ნ.ნონიკაშვილი. ნავთობპროდუქტების ეკოლოგიური მახასიათებლების გაუმჯობესების შესახებ მოხსენებათა თეზისები, თსუ, 2005 გ.30.
3. Данилов А.М. Классификация присадок и добавок к топливам. Нефтепереработка и Нефтехимия 1997, №6, с.11.
4. N.Nonikashvili, T.Uchaneishvili, N. Tserodze, L. Dolidze. Abut improvement of ecologic characteristics of petrol fuels. Conference “Compounds & Materials Witsh Specific Properties” (With internacional invistacion); Tbilisi, Tsu, 2007, 8-9 ivnisi gv.76.
5. ნ. ბარბაქაძე, ნ. ზაქარიაძე, ნ. გეგელიძე, ი. მიქაძე, ა. დოლიძე. ზოგიერთი ნავთობპროდუქტებისა და მძიმე მეტალების გავლენა მიკროორგანიზმთა განვითარებაზე. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი მაცნე, ქიმიის სერია, 2005, ტ.31 № 3-4, გ. 286-289;

6. Н. П. Церодзе, О.Г. Ломтадзе, Т.Г. Учәнеишвили, А.В. Долидзе. Адсорбционное выделение 2,4-диметиланилина и его применение в качестве антидетонационных добавок к бензинам. Инженерные новости Грузии. 2006, № 3, ст. 234-235.

НЕМЕТАЛИЧЕСКИЕ ОКТАНРЕГУЛИРУЮЩИЕ ДОБАВКИ ДЛЯ НЕФТЯНЫХ ТОПЛИВ

Н.У.Ноникашвили, Н.П.Церодзе, И.И.Микадзе, М.А.Степанишвили, М.З.Джапаридзе, Т.Г.Учәнеишвили, А.В.Долидзе

Тбилисский государственный университет им. Ив. Джавахишвили/Институт физической и органической химии им. П.Г. Меликишвили

РЕЗЮМЕ

Неметаллические октанрегулирующие добавки на основе скелетной изомеризации и ароматизации C₇–C₈ парафинов, не только улучшают технические показатели топлив, а также являются экологически менее опасными.

NON-METALLIC OCTANREGULATED ADDITIVES FOR PETROLEUM FUELS

N.Nonikashvili, N.Tserodze, I.Mikadze, M.Stepanishvili, M.Djaparidze, T.Uchaneishvili, A.Dolidze

Iv. Javakhishvili Tbilisi State University/P. Melikishvili Institute of Physical and Organic Chemistry

SUMMARY

Non-metallic octane-regulated additives based on the skeletal isomerization and aromatization of C₇–C₈ paraffins, are improving not only technical parameters of fuels, but also are environmentally less dangerous.

ПРИСАДКИ, УЛУЧШАЮЩИЕ ЭКСПЛУАТАЦИОННЫЕ СВОЙСТВА ДИЗЕЛЬНЫХ ТОПЛИВ

М.М.Мовсумзаде, Н.А.Алиев, И.М.Эйвазова

Институт химии присадок им.академика А.М.Кулиева НАНА, Баку, Азербайджан
irada_eyvazova@rambler.ru

Экологическая безопасность автомобильного транспорта является важным компонентом обеспечения защиты окружающей среды в целом. Так при использовании транспортных средств работающих на двигателях внутреннего сгорания в зависимости от состава топлива и строения двигателя в окружающую среду выбрасываются канцерогенные отходы (окиси азота и серы, ароматические углеводороды, органические кислоты, продукты неполного сгорания и др.). Особенно интенсивно данный процесс происходит в больших мегаполисах, где концентрация транспортных средств значительно высока [1, 2].

Создавшаяся ситуация обуславливает ужесточение требований, предъявляемых к топливам для транспортных средств. Известно, что простейшим и экономически наиболее эффективным методом улучшения качества топлива является введение различных присадок.

Ранее в Институте химии присадок проводились исследования в области металл содержащих антидымных присадок. В результате исследований разработана эффективная антидымная присадка ИХП-706. Присадка ИХП в смеси с дизельным топливом прошла всесторонние испытания. Эти испытания показали, что присадка ИХП по всем показателям находится на уровне лучших зарубежных присадок, а по некоторым превосходит зарубежные присадки подобного типа. При добавлении в количестве 0,5-1% к дизельному топливу указанная присадка обеспечивает снижение уровня дымления на 50-75%. Результаты длительных стендовых испытаний на двигателе ЯМЗ-238 показали, что ИХП-706 практически не приводит к образованию твердых зольных отложений в камере сгорания и на распылителях форсунках, что обеспечивает нормальную работу двигателя. Износ деталей двигателя и топливной аппаратуры за период испытания находится на уровне, обычно имеющим место при проведении стендовых испытаний двигателей типа ЯМЗ-238 на топливе без присадок. Также установлено, что высокозольная присадка ИХП-706 эффективно снижает сажа образование в выхлопе дизельных двигателей.

Присадка ИХП-706, в основном, состоит из алкилфенолята бария. Добавление присадки в топливо приводит к выделению в атмосферу вместе с отработанными газами некоторого количества соединений бария. Исследования показывают, что продукты сгорания барийсодержащих продуктов могут состоять из токсичных соединений, к которым относятся и растворимые в кислоте соли бария. Наиболее токсичными соединениями бария являются растворимые неорганические соли $BaCO_3$ и $BaCl_2$. Максимально возможное потребление растворимого бария человеком с вдыхаемым воздухом при применении барийсодержащей присадки, с которой в топливо вводится 0,15-1,16% Ba, составляет 0,12 мг растворимого бария в день. Увеличение среднедневного потребления на 0,1-0,12 мг при применении бариевой присадки рассматривается как не опасное.

Развивая исследования в данном направлении, было интересно изучить роль металла в эффективности присадки. Исходя из этого, была поставлена задача разработки кальцийсодержащего варианта присадки ИХП-706.

Исходными реагентами для получения присадки были алкилфенол и гидроксид кальция. Известно, что на эффективность действия присадок большое влияние оказывает изомерный состав и величина алкильного радикала.

Обычно при получении промышленного алкилфенола из различных олефиновых углеводородов и фенолов [3,4], в качестве катализатора используют бензолсульфоислоту, серную кислоту, алюмосиликаты, КУ1, КУ2 и др. Принимая во внимание недостатки применяемых катализаторов, для алкилирования фенола нами использован тример пропилена и цеолитный катализатор Цеокар-2.

Путем проведения ряда опытов были найдены оптимальные условия для данного процесса. В результате было установлено, что при соотношении фенола к тримеру пропилена как 1:2, выход алкилфенола составляет 49%. Оптимальная температура алкилирования составила 190⁰С. Была изучено влияние времени нахождения сырья в зоне реакции на выход продукта. Максимальное время реакции составила 2 часа. Также была установлена максимальная концентрация катализатора (10%). Были изучены физико-химические свойства полученных алкилфенолов.


Структура полученного алкилфенола доказана ИК-спектроскопией. Область длиной 880 см⁻¹ соответствует 1,2,4-замещенному бензольному кольцу, 812 см⁻¹ 1,4-замещенному бензольному кольцу, 748 см⁻¹ 1,2-замещенному бензольному кольцу.

Таблица 1. Физико-химические свойства алкилфенолов


Показатели	Требования к алкилфенолам по стандарту	Опытный алкилфенол
Кинематическая вязкость при 100 ⁰ С мм ² /с	5,0-6,2	5,3
Температура воспламенения в открытом тигле, ⁰ С	110	12
Плотность при 20 ⁰ С, кг/м ³	910-930	918
n_D^{20}	1,5021-1,5088	1,5060
Содержание фенола, %	0,5	0,3

На основе полученных алкилфенолов разработаны кальцийсодержащие присадки. Присадки получали по известной методике в три этапа:


1. Нейтрализация алкилфенола гидроксидом кальция при температуре 70-75⁰С:



2. Из нейтрализованного нормального алкилфенолята получали алкилфенолят кальция:



3. Карбонатация алкилфенолята кальция при участии промотора (10% этанол):



где: R –C₈-C₁₂ алкилы


Полученная присадка является жидкостью кофейного цвета не имеющей запаха, которая хорошо растворяется в дизельном топливе.

Сложность проведения реакции в данных условиях и маленький выход алкилфенолята кальция обусловили применение другого метода получения. Для получения алкилфенолята кальция в качестве исходного вещества использовали сульфид алкилфенол. Ввиду того, что количество серы в сульфидалкилфеноляте кальция составляет очень малую часть присадки, количество вредных газов, выпускаемых в атмосферу при горении топлива тоже незначительно и не влияет отрицательно на детали двигателя. Содержание присадки незначительного количества серы улучшает антиокислительные, антикоррозионные и противоизносные качества присадки [5,6].

Сульфидалкилфенолят получали при взаимодействии алкилфенола с серой при 160⁰C. Далее осерненный алкилфенол растворяли в дизтопливе и проводили реакцию омыления с гидроксидом кальция.


Реакцию проводили по следующей схеме:

1. Получение сульфидалкилфенола




где: R- промышленные алкилфенолы (C₈ –C₁₂) C₉H₁₉

2. Реакция сульфидалкилфенола с гидроксидом кальция



3. Карбонатация алкилфенолята кальция



При получении алкилфенолята кальция наиболее сложным этапом является процесс карбонатации, так как повышение щелочности присадки зависит именно от этого этапа. Известно, что на процесс карбонатации влияет количество гидроксида кальция, углекислого газа, температура реакции и интенсивность перемешивания массы. Проведенные исследования показали, что при времени подачи CO_2 равным 2 часам щелочность синтезированной присадки достигает максимального уровня. При этом количество CO_2 составляет 14% от взятого алкилфенола.

Далее на основе дизтоплива и осерненного алкилфенолята кальция были разработаны топливные композиции. С помощью экспресс-метода были изучены противодымные свойства полученных композиций. Результаты исследований даны в табл.2. Для сравнения также приведены результаты испытаний присадки ИХП-706.

Таблица 2. Сравнительные показатели противодымных свойств кальций и барий содержащих алкилфенолятных присадок

Присадка	Количество присадки в топливе, (%)	Сокращение дымности, (%)
Кальций алкилфенолятная присадка	0,25	30
	0,50	53
	0,65	67
	0,75	71
	1,0	75
Осерненная кальций алкилфенолятная присадка	0,25	34
	0,50	55
	0,65	68
	0,75	75
	1,0	82
Барий алкилфенолятная присадка (ИХП-706)	0,25	30
	0,50	60
	0,65	72
	0,75	75
	1,0	78
Присадка СЛД	0,25	39
	0,50	54
	0,65	66
	0,75	72
	1,0	80

Как видно из таблицы, полученные нами данные соответствуют данным присадки ИХП-706. Однако преимуществом кальций алкилфенолятной присадки является относительная дешевизна ее себестоимости. Как известно, при использовании бариевой присадки в атмосферу выпускаются вредные отходы, по этой причине многие страны в мире ограничили применение этой присадки.

Экспресс-методом проведены первичные испытания и на их основе отобраны эффективные присадки. Используя различные концентрации присадки, разработаны их композиции в дизельном топливе. Как видно из таблицы 2, осерненная кальций алкилфенолятная присадка более эффективная чем другие присадки. В силу этого были проведены более широкие испытания осерненной кальций алкилфенолятной присадки. Данные испытания были проведены на реальном двигателе ЯМЗ-238. Эффективность композиции и сокращение дымности, образующейся во время эксплуатации двигателя, были определены специальными приборами – дымомерами, установленными на выходе двигателя. Для сравнения также приведены данные опыта бариевой присадки.

Таблица 3. Исследование противодымных свойств осерненной кальций алкилфенолятной присадки на установке ЯМЗ-238

Присадка	Концентрация присадки в дизельном топливе, % (масса)	Сокращение дымности, %
Осерненная кальций алкилфенолятная присадка	1,0	72
	1,4	85
Бариевая алкилфенолятная присадка (ИХП-706)	0,5	65
	1,0	70

Как видно из таблицы, топливная композиция, разработанная на основе 1,4% (масса) осерненного кальций алкилфенолята обладает высокой эффективностью по сокращению дымности. Так при использовании данной композиции при эксплуатации дизельного двигателя дымность сокращается на 70-80%. Эта присадка также обладает моюще-диспергирующими свойствами. А это обеспечивает продолжительный рабочий режим. В силу улучшения процесса в камере горения также наблюдалось снижение расхода топлива на 6-8% .

Таким образом, на основе осерненного промышленного алкилфенола получены высокочольные кальциевые соли и исследованы в дизельных двигателях в качестве антидымной присадки. Установлено, что при добавлении 1,0% осерненной кальций алкилфенолятной присадки к дизельному топливу при эксплуатации двигателя дымность снижается на 79%.

ლიტერატურა - REFERENCES – ЛИТЕРАТУРА

1. Сайдахмедов И.М., Сайдахмедов С.И., Пути увеличения ресурсов дизельных топлив при переработке нефтегазоконденсатного сырья //Нефтепереработка и нефтехимия. 2007, №3, с. 33 –34
2. Митусова Т.Н., Калинина М.В., Мировые тенденции улучшение качества дизельных топлив // Мир нефтепродуктов. 2005, №2, с.5 –7
3. Гасанов Д.Г., Мовсумзаде М.М., Зейналов Б.А., Керимов К.Т., Гусейнова А.Д. Разработка технологии получения алкилфенолов на установке непрерывного действия и синтез присадки на их основе//Нефтепереработка и нефтехимия. 2010, №12

4. Авт.свид. 295748 Россия, Способ получения алкилфенолятов металлов в растворе минерального масла, МПК С07с 31/30, С07с 29/00, 1971.
5. Азев В.С., Серeda А.В., Влияние содержания серы на противоизносные свойства дизельных топлив//Химия и технология топлив и масел, 2009, №4, с.10-12.
6. Петрухнова Е.В., Плаксина Р.В., Корнишина Л.Е. Импортозамещение присадок, улучшающих свойства дизельного топлива ЕВРО//Химия и технология топлив и масел, 2011, №7, с.21-24.

ПРИСАДКИ, УЛУЧШАЮЩИЕ ЭКСПЛУАТАЦИОННЫЕ СВОЙСТВА ДИЗЕЛЬНЫХ ТОПЛИВ

М.М.Мовсумзаде, Н.А.Алиев, И.М.Эйвазова

Институт химии присадок им.академика А.М.Кулиева НАНА, Баку, Азербайджан

РЕЗЮМЕ

На основе дизельного топлива и алкилфенолята кальция разработана высокоэффективная топливная композиция. Добавление 1,0% кальций алкилфенолятной присадки к дизельному топливу снижает дымность на 79%. Разработанная присадка обладает моюще-диспергирующим, антикоррозионным и противоизносными свойствами, а также способствует снижению расхода топлива на 6-8% .

ADDITIVES THAT IMPROVE OF OPERATIONAL PROPERTIES OF DIESEL FUELS

M.M.Movsumzade, N.A.Aliev, I.M.Eyvazova

Chemistry of Additives im.akademika A.M.Kuliyev ANAS, Baku, Azerbaijan

SUMMARY

Based on diesel fuel and alkilfenolyata calcium developed highly fuel composition. Adding 1.0% calcium alkilfenolyatnoy additive to diesel smoke reduction by 79%. Has developed additive detergent-dispersant, anti-corrosion and anti-wear properties, and also helps reduce fuel consumption by 6-8%.

ნავთობით გაჯერებული ფოროვანი პოლიმერის დესორბციის პროცესის შესწავლა

ნ.გელაშვილი, ზ.მლოდინაშვილი, ნ.დოხტურიშვილი, ნ.მაისურაძე, ქ.პაპავა, ვ.შეროზია

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პეტრე
0.315<d<0.63	2.37	1.78	1.66	0.11	54	90	18
0.1<d<0.63	2.41	1.90	1.01	0.12	58	85	-
d<0.1	2.42	-	0.81	0.15	66	78	-

აფუებული პერლიტის ჰიდროფობიზაციისათვის ძირითადად იქნა გამოყენებული ფრაქცია 0.315<d<0.63 მმ, მოდიფიკატორებად - შედგენილობით, სტრუქტურითა და სილიციუმის ატომთან მდგომი ორგანული რადიკალებით განსხვავებული სილიციუმორგანული ნაერთები, რომლებიც ეფექტურ ჰიდროფობიზატორებად ითვლებიან, სახელდობრ პოლიეთილჰიდროსილოქსანი (ГКЖ-94), პოლიმეთილსილოქსანი (ПМС) და მეთილფენილსილოქსანი (МФС). მოდიფიკატორის ტიპითა და რაოდენობით ვარგულირეთ სორბენტის ზედაპირულ და სორბციულ თვისებებს. შემუშავებული ოპტიმალური ვარიანტის საფუძველზე მიღებულ იქნა ნავთობმშთანთქავი სორბენტები. განისაზღვრა მათი ფიზიკურ-ტექნიკური პარამეტრები (ცხრ.3).

ცხრილი 3. პოლიეთილჰიდროსილოქსანით ჰიდროფობიზაციის გავლენა პერლიტის ფიზიკურ-ტექნიკურ თვისებებზე

მაჩვენებლის დასახელება	გაფუებული პერლიტი	მოდიფიცირებული ორგანიკით
ნაყარი მოცულობითი წონა, კგ/მ ³	50-250	50-250
წყალშთანთქმა 24ს., წონ. %	170-180	10
კაპილარული შეწოვა 24ს., %	65	0
ფორიანობა, %	95	95
დასველების კუთხე, θ ⁰	90	130-140
ცურვადობა, %	90	98
ნავთობტევადობა, %	120-150	700-750

სორბენტის ზედაპირზე წარმოქმნილი სილიციუმორგანული საფარი ხასიათდება მაღალი მდგრადობით. იგი იშლება 350-400°C-ზე. მიღებულ სორბენტებში ჰიდროფობიზაციის ხარისხი განსაზღვრულ იქნა ეკრანზე წყლის წვეთის პროექციებით და დასველების კუთხის გაზომვით.


როგორც ცხრ.3-დან ჩანს, ჰიდროფობიზაცია მთლიანად აფერხებს კაპილარულ შეწოვას, მნიშვნელოვნად ამცირებს წყალშთანქმას, იზრდება დასველების კუთხე, ცურვადობა, მნიშვნელოვნადაა გაზრდილი ნავთობტეკადობა, ხოლო გრანულომეტრული შეღვენილობა, ნაყარი მოცულობითი წონა და ფორიანობა არ იცვლება. ΓΚЖ-94-ით მოდიფიცირებულ პერლიტზე წყლის ორთქლის აღსორბცია დაბალია და საშუალო შეფარდებითი წნევის პირობებში ნულთან არის ახლოს.

ჰიდროფობური პერლიტის ფიზიკურ-ქიმიური თვისებების დასახასიათებლად შესწავლილ იქნა წყლის ორთქლის, ამიაკის, ბენზოლისა და ნ-ჰექსანის აღსორბცია სტატიკურ პირობებში (ცხრ.4).

ცხრილი 4. წყლის, ბენზოლის, ამიაკის და ნ-ჰექსანის ორთქლის აღსორბცია საწყის და მოდიფიცირებულ ნიმუშზე

ნიმუში	H ₂ O		NH ₃		C ₆ H ₆		ნ-C ₆ H ₁₄	
	%	მმოლი/გ	%	მმოლი/გ	%	მმოლი/გ	%	მმოლი/გ
გაფუებული პერლიტი	3.73	2.07	8.24	4.85	14.76	1.90	19.78	2.30
მოდიფიცირებული ორგანიკით	1.74	0.97	4.88	2.87	0.87	0.11	7.84	0.91

როგორც ცხრილიდან ჩანს, გაფუებული პერლიტის ზედაპირის ქიმიური ბუნება საგრძნობლად შეიცვალა მოდიფიცირების შემდეგ. წყლის ორთქლისა და ამიაკის აღსორბცია შედარებით მცირდება, ხოლო ორგანული ნივთიერებების (ბენზოლი, ნ-ჰექსანი) კი საგრძნობლად იზრდება. პერლიტის ზედაპირსა და სილიციუმორგანულ ნაერთებს შორის ურთიერთქმედების შედეგები, სახელდობრ, ზედაპირზე ორგანული აფსკის არსებობა სილოქსანური სისტემის წარმოქმნით, კარგად ჩანს მოდიფიცირებული ნიმუშების ინფრაწითელ სპექტრში (ნახ.1).



ნახ.1. გაფუებული პერლიტის ინფრაწითელი სპექტრები: 1 – მოდიფიცირებული პოლიეთილჰიდროსილოქსანით; 2 – მოდიფიცირებული მეთილფენილსილოქსანით.

გაფუებული პერლიტისაგან განსხვავებით, პოლიეთილჰიდროსილოქსანითა და მეთილფენილსილოქსანით მოდიფიცირებული პერლიტის სპექტრებში კარგად ჩანს განსხვავებული, ახალი შთანთქმის ზოლების არსებობა 1400-800 სმ⁻¹ უბანში. 1259 და 1429

სმ⁻¹ შთანთქმის ზოლები მოდიფიცირებული ნიმუშების სპექტრებში უნდა იყოს განპირობებული Si-CH₃ და Si-C₆H₅ დეფორმაციული რხევების არსებობით.

სილიციუმორგანული ნაერთებით გაფუებული პერლიტის მოდიფიცირების პროცესი დასტურდება აგრეთვე თერმოგრაფიკული ანალიზის მეთოდითაც. პოლიეთილჰიდროსილოქსანით მოდიფიცირებული ნიმუშის თერმოგრამაზე აღინიშნება ინტენსიური ეგზოთერმული პიკი 320°C ტემპერატურულ ინტერვალში, რომელიც უნდა დაფუკავშიროთ

როგორც ზედაპირზე არსებული ორგანული ნაწილის დაჟანგვას, ასევე მისი პოლიმერიზაციის პროცესს.

გაფუებული პერლიტის სილიციუმორგანული ნაერთით მოდიფიცირების შედეგად მიღებული სორბენტი გამოცდილ იქნა სორბციულ პროცესებში წყლის ზედაპირის მცურავი ნავთობისაგან გასაწმენდად. იგი წარმატებით იქნა შესრულებული. ცდები ჩატარებულ იქნა გამსხვილებულ ლაბორატორიულ პირობებში. ნახაზე 2 წარმოდგენილია წყლის ზედაპირზე მცურავი ნავთობის სორბენტით შეკვრის პროცესი. ნავთობის ფენის სისქე წყლის ზედაპირზე შეადგენდა 0,07 სმ, სიბლანტე 4,7 სსტ (20°C), სორბენტით შთანთქმული ნავთობის რაოდენობა განისაზღვრა წონითი მეთოდით. როგორც მიღებულმა შედეგებმა გვიჩვენა, მაქსიმალური ნავთობტევადობით (750%) ხასიათდება ГКЖ-94-ით მოდიფიცირებული ნიმუშები. გამსხვილებულ ლაბორატორიულ პირობებში ჩატარებული ცდით დადგენილია, რომ მცურავი ნავთობისა და ნავთობპროდუქტებისაგან წყლის ზედაპირის გაწმენდის ხარისხი 97%-ს შეადგენს.

პრაქტიკული რეკომენდაციებიდან გამომდინარე /6/, სორბენტით ნავთობით დაბინძურებული ნიადაგების გასაწმენდად შერჩეული იქნა გამდიდრების ფლოტაციური მეთოდი, რაც განაპირობა შემდეგმა: 1) ნავთობი და ნავთობპროდუქტები ჰიდროფობურ ნივთიერებებს წარმოადგენენ და ადვილად ექვემდებარებიან ფლოტაციას; 2) მათი სიმკვრივე მნიშვნელოვნად მცირეა წყლის სიმკვრივესთან შედარებით, რაც აგრეთვე ხელს უწყობს ფლოტაციურ გაყოფას სისტემისა: ნავთობი-წყალი, ნავთობი-ნიადაგი; 3) პერლიტის სორბენტის მოცულობითი წონა (50-250) კგ/მ³.




ნახ.2. წყლის ზედაპირზე მცურავი ნავთობის ამოღება პერლიტის ჰიდროფობური სორბენტით: 1 – კონტაქტირების დრო 15 წთ.; 2 – კონტაქტირების დრო 30 წთ.

ნავთობშთანთქმავი სორბენტის გამოყენების ტექნოლოგია ითვალისწინებს ნავთობით დაბინძურებული ნიადაგის ზედაპირზე სორბენტის განთავსებას, სორბენტის გაჟღენთვას ნავთობით და ნავთობით გაჟღენთილი მასის გადატანას საფლოტაციო აპარატში. ნიადაგის გაწმენდის ხარისხის დასადგენად ნარჩენი ნავთობი განისაზღვრება ქიმიური (ჰექსანით გამოწვილვა) და სპექტროფოტომეტრული მეთოდებით.

ექსპერიმენტისთვის შერჩეულ იქნა ნიადაგის სხვადასხვა ტიპი (შავმიწა, სილა-ქვიშრობი და თიხანარევი), რომელთა დეტალური კვლევა ჩავატარეთ ანალიზის კომპლექსური მეთოდებით. გამოყენებული იქნა სამგორისა და ნინოწმინდის საბადოების ნავთობი.

ჩატარებული ექსპერიმენტის საფუძველზე დადგენილია სორბენტის რაოდენობა, რომელიც საჭიროა სხვადასხვა ხარისხით დაბინძურებული ნიადაგიდან ნავთობის ამოსაკრეფად და იგი საშუალოდ ნიადაგის 10-15%-ს შეადგენს. სორბენტის რაოდენობის

შემდგომი ზრდა უმნიშვნელოდ ზრდის ამოკრეფილი ნავთობის რაოდენობას, რომელიც 65-70%-ს შეადგენს (ნახ.3).




ნახ. 3. ნავთობის ამოკრეფის ხარისხის დამოკიდებულება სორბენტის რაოდენობისაგან

სორბენტზე ნავთობის აღსორბციის კინეტიკის შესწავლისას ნაჩვენებია, რომ ნიადაგში დაღვრილი ნავთობის სორბენტთან კონტაქტირებისას 30 წთ. საკმარისია 66% ნავთობის ამოკრეფისათვის. კონტაქტირების დროის გაზრდა უმნიშვნელოდ ცვლის ამოკრეფილი ნავთობის რაოდენობას: მხოლოდ 24 და 48 საათიანი კონტაქტირებისას შეინიშნება მისი გაზრდა 75-77%-მდე (ნახ.4). ეს იმაზე მიუთითებს, რომ სორბენტზე დასაწყისშივე ხდება ნიადაგში დაღვრილი ნავთობის სორბირება, შემდეგ პროცესი ნელდება, ფორებში შეღწეული ნავთობის ამოკრეფა საკმაოდ ნელა მიმდინარეობს.

ნავთობისაგან ნიადაგის გაწმენდისას გათვალისწინებულია ნიადაგის სტრუქტურისა და შედგენილობის გავლენა. მაშინ როცა ყავისფერი ნიადაგიდან ფლოტაციური მეთოდით ამოკრეფილი ნავთობის რაოდენობა დაახლოებით 70%-ს შეადგენს, ზღვის სანაპიროს სილაქვიშრობიანი ნიადაგიდან ნავთობის ამოკრეფის ხარისხი 90-93%-ია, ხოლო თიხა ნიადაგების შემთხვევაში გაწმენდის ფლოტაციური მეთოდის გამოყენება არაეფექტურია.

რაც უფრო მცირე დროა გასული ნავთობის ნიადაგში დაღვრიდან, მით მაღალია გაწმენდის ხარისხი.



ნახ.4. პერლიტის სორბენტზე ნავთობის აღსორბციის კინეტიკა

ამრიგად, ადგილობრივი ნედლეულის – ფარავანის პერლიტის ბაზაზე მიღებულია ჰიდროფობურ-ოლეოფილური თვისებების მქონე სორბენტი, რომელიც წარმატებით შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც წყლის ზედაპირზე მცურავი, ისე წყალში დისპერგირებული და ნიადაგში დაღვრილი ნავთობის შესაგროვებლად. აღსანიშნავია, რომ ნავთობმშთანთქავი სორბენტის მისაღებად საჭიროა საწარმოო პირობებში პერლიტის გაფუებას დაემატოს თერმოქიმიური მოდიფიცირების კვანძი.

ლიტერატურა – ЛИТЕРАТУРА – REFERENCES

1. Гаджиев-Шенгелия М.К., Папава Г.Ш., Брегвадзе И.З. К вопросу о проблеме очистки водоемов, рек, морей и океанов от нефти и нефтепродуктов. – *Georgian Engineering News*, 2007, №2.
2. Мдивнишвили О.М. Кристаллохимические основы регулирования свойств природных сорбентов. Тб.: Мецниереба, 1983, 266 с.
3. Жукова А.Э. Новые подходы к решению экологических проблем утилизации и дезактивации органических веществ. – Ученые записки Таврического национального университета, 1981, т.14(53), №1.
4. Самхарадзе Н.Я., Чохонелидзе М.И. и др. Перспективы расширения сырьевой базы и увеличение добычи перлитов в Грузии. – *Горный журнал*, 2004, №4, с.78-80.
5. Пилипенко А.Г., Пашенко А.А., Тарасевич Ю.И., Крупа А.А. – *Химия и технология воды*, 1981, т.3, №3.
6. Ксенофонов Б.С. Очистка воды и почв флотацией. М., О.О.О. Мирпресс, Новые технологии, 2004.

ВОЗМОЖНОСТЬ ОЧИСТКИ ЗАГРЯЗНЕННЫХ НЕФТЬЮ ОБЪЕКТОВ СОРБЕНТАМИ, ПОЛУЧЕННЫМИ НА ОСНОВЕ МЕСТНОГО СЫРЬЯ

Л.В.Махарадзе, К.К.Хачатурян, М.О.Брокишвили

ТГУ Кавказский институт минерального сырья им. А.Твалчрелидзе

РЕЗЮМЕ

Путем термохимического модифицирования перлита месторождения Паравани получен сорбент, проявляющий гидрофобно-олеофильные свойства.

Установлено, что он характеризуется высокой нефтеемкостью и удовлетворяет основным требованиям, предъявляемым к собирающим нефть сорбентам.

Показано, что полученный нефтепоглощающий сорбент может быть с успехом использован для очистки поверхности воды и почв от разлитой нефти.

THE FACILITIES OBTAINED ON BASIS OF LOCAL RAW MATERIALS FOR CLEANING OIL-CONTAMINATED OBJECTS USING SORBENTS

L.Makharadze, K.Khachaturian, M.Brokishvili

TSU Alexander Tvalchrelidze Caucasus Institute of Mineral Resources

SUMMARY

Accordance to the thermochemical modifiers of local raw materials – Paravan Perlite had been obtained the Sorbent which is characterized by Hydrophobi-Oleophilic nature.

It is established that it is characterized by high oil capacity and quite meets to the basis requirements, which is required from the oil-collecting Sorbent.

It is shown that the obtained Sorbent having oil engulf capacities can be successfully used to collect the spilled oil as well as floating on the surface of the water, also in the water in a dispergation form and in the soil.

ХРОМАТОГРАФИЧЕСКОЕ ИССЛЕДОВАНИЕ ЛЕГКИХ ФРАКЦИЙ НЕФТИ С ИСПОЛЬЗОВАНИЕМ ПЕРЛИТОВОГО И ДИАТОМИТОВОГО ТВЕРДЫХ НОСИТЕЛЕЙ

К.К.Хачатурян, Л.В.Махарадзе, М.О.Брокишвили

*ТГУ Кавказский институт минерального сырья им.А.Твалчрелидзе
Тбилиси, Грузия, tcimr@internet.ge*

При хроматографическом анализе, как известно, сложность идентификации многокомпонентных смесей, в частности, бензиновых фракций, обусловлена различными обстоятельствами: взаимным перекрыванием зон индивидуальных компонентов; отсутствием полного набора эталонных веществ, которые могут присутствовать в анализируемой смеси, а также различным строением молекул компонентов смеси, принадлежностью их к различным гомологическим рядам и др. Тем не менее несомненно, что качественный газо-хроматографический метод анализа уникален.

Применение газовой хроматографии для исследования нефтей способствовало поиску адсорбентов, позволяющих анализировать их углеводородные компоненты. В настоящее время этим методом может быть установлен практически полный индивидуальный состав бензина, выкипающего до 150⁰С, и ароматической фракции до 200⁰С. Возможно также определение группового состава бензина /1/.

Хроматографическому анализу легких бензинов как на насадочных, так и на капиллярных колонках посвящено достаточно много работ; в качестве неподвижных фаз использованы: сквалан, октадецен-1, фталаты, вакуумная смазка и др. /2/. Идентифицирование компонентов проведено на основании значений индексов удерживания углеводородов, а это – наиболее сложная и трудоемкая часть этого метода анализа бензинов /2, 3/.

Целью данной работы являлось установление возможности использования вспученного перлита и диатомита с нанесенной неподвижной жидкой фазой (НЖФ) для разделения компонентов некоторых легких фракций нефти и определения их индивидуального состава.

Хроматографические исследования проводились на хроматографе ЛХМ-8МД (модель 5) с детектором по теплопроводности. Длина насадочной колонки составляла 2 м, а также – 80 см, внутренний диаметр 3 мм, температура нагрева колонки 50-100⁰С; скорость газа-носителя (гелия) 30 и 40 мл/мин; зернение твердого носителя 0,25÷0,4 и 0,4÷1,0 мм.

В качестве объектов изучения были взяты отдельные легкие нефтяные фракции некоторых месторождений Грузии:

- фракция до 100 и 170⁰С норийской нефти;
- фракция до 100 и 100-150⁰С сацхенисской нефти;
- фракция 50-150⁰С самгорской нефти.

В качестве твердого носителя были использованы:

1. Перлит месторождения Паравани (Грузия), который по данным рентгеноструктурного анализа представлен, в основном, аморфной фазой с незначительным количеством примесей α -кристобалита, кварца, полевого шпата и имеет следующий химический состав (% вес.): SiO₂ – 71,80; Al₂O₃ – 14,30; Fe₂O₃ – 0,50; FeO – 0,44; TiO₂ – 0,11; P₂O₅ – 0,08; MnO – 0,14; CaO – 0,79; MgO – 0,24; Na₂O – 3,66; K₂O – 4,40.

2. Термохимически модифицированный диатомит месторождения Кисатиби (Грузия), который представлен аморфной фазой; содержание в нем оксидов железа и алюминия составляет (% вес.): Fe₂O₃ – 0,03 и Al₂O₃ – 0,18 /4/.

Основываясь на результаты ранее проведенного нами хроматографического исследования, на гранулы вспученного перлита была нанесена неподвижная жидкая фаза полидиметилсилоксан ПМС-200 в количестве 15% от его веса (это – оптимальная степень пропитки), а на гранулы термохимически модифицированного диатомита (ДПК-650) была нанесена НЖФ Карбовакс 400 с оптимальной степенью пропитки 10%.

На рис.1-3 представлены полученные при температуре 60⁰С и скорости газа-носителя 30 мл/мин. хроматограммы фракций нефтей, где зафиксированы не только ярко выраженные пики: разделение многих пиков только намечается, а в некоторых случаях наблюдается лишь небольшая задержка на доли секунды пера самописца.

Идентифицирование компонентов проведено на основании предварительно определенных нами значений времен удерживания C₅-C₁₀ n-парафиновых и C₆-C₉ ароматических углеводородов; для каждого из них вычислены величины удельных удерживаемых объемов (V_g, мл/г), которые представлены в таблицах 1 и 2.




Рис.1. Хроматограмма фракции, выкипающей до 100⁰С, нефти месторождения Норю на вспученном перлите с нанесенной НЖФ ПМС-200 (15%): 1 – n-пентан; 3 – n-гексан + n-гексен-1; 5 – бензол + толуол; 6 – n-гептан; 10 – n-октан; 12 – этилбензол + м-ксилол + п-ксилол; 13 – о-ксилол; 14 – n-нонан + кумол; остальные пики не идентифицированы; температура колонки t=60⁰С; скорость газа-носителя v=30 мл/мин.

Следует отметить, что из-за отсутствия многих эталонных индивидуальных веществ идентифицировать все компоненты не удалось. Так, для фракции, выкипающей до 100⁰С, норийской нефти при использовании в качестве твердого носителя вспученного перлита из зафиксированных 14 хроматографических пиков идентифицированы только 8 (рис.1); для фракции, выкипающей до 100 и в интервале 100-150⁰С, сацхенисской нефти из 14 и 20

пиков идентифицированы соответственно 9 и 10 (рис.2), а для фракции, выкипающей в интервале 50-150⁰С, самгорской нефти из 12 пиков идентифицированы только 7 (рис.3).




Рис.2. Хроматограммы фракций, выкипающих до 100 (а) и в интервале 100-150⁰С (б), нефти месторождения Сацхениси на вспученном перлите с нанесенной НЖФ ПМС-200 (15%): а) 1 – н-пентан; 3 – н-гексан +н-гексен -1; 5 – бензол + толуол; 6 – н-гептан; 9 – н-октан; 11 – этилбензол + м-ксилол + п-ксилол; 12 – о-ксилол; 13 – н-нонан; 14 – кумол; остальные пики не идентифицированы; б) 1 – н-гексан +н-гексен-1; 2 – бензол + толуол; 3 – н-гептан; 6 – н-октан; 8 – этилбензол + м-ксилол + п-ксилол; 10 – о-ксилол; 12 – н-нонан; 13 – кумол; 16 – мезитилен; 19 – псевдокумол; остальные пики не идентифицированы; температура колонки $t=60^{\circ}\text{C}$; скорость газ-носителя $v=30$ мл/мин.

Предварительное хроматографическое исследование вспученного перлита с нанесенной НЖФ ПМС-200 и диатомита ДПК-650 с нанесенной НЖФ Карбовакс 400 показало, что компоненты вымываются из заполненной этими твердыми носителями колонки по мере увеличения температуры их кипения; так как температуры кипения многих нефтяных соединений, входящих в состав легких нефтяных фракций, совпадают с таковыми для насыщенных и ароматических углеводородов, то, по всей видимости, они также вымываются вместе с идентифицированными компонентами.

Сравнивая попарно хроматограммы фракций, выкипающих до 100⁰С, норийской и сацхенисской нефтей, а также хроматограммы фракций, выкипающих до 150⁰С, сацхенисской и самгорской нефтей, можно отметить, что между ними наблюдается некоторое сходство; к тому же на всех хроматограммах очень четко фиксируются два пика

неидентифицированных компонентов, время выхода которых составляет приблизительно 2,15 и 3 минуты.

Повышение температуры хроматографической колонки до 80 и 100⁰С сокращает время анализа фракций, однако при этом заметно уменьшается и количество фиксируемых пиков.

Исходя из полученных результатов, хроматографическое изучение с использованием вспученного перлита следует проводить при оптимальной температуре нагрева колонки 60⁰С, а с использованием термохимически модифицированного диатомита – при температуре 50⁰С, при которых происходит сравнительно лучшее разделение компонентов нефтяных фракций.




Рис.3. Хроматограмма фракции, выкипающей в интервале 50 – 150⁰С, нефти месторождения Самгори на вспученном перлите с нанесенной НЖФ ПМС-200 (15%):

1 – н-пентан; 2 – бензол + толуол; 3 – н-гептан; 6 – н-октан; 8 – этилбензол + м-, п- и о-ксилолы; 9 – н-нонан; 11 – псевдокумол; остальные пики не идентифицированы; температура колонки $t=60^{\circ}\text{C}$; скорость газа-носителя $v=30$ мл/мин.

Из исследованных фракций особо отличается фракция, выкипающая до 170⁰С, норийской нефти, на хроматограмме которой появляется всего один пик с длинным хвостом неразделенных соединений. Предполагалось, что повышение температуры колонки будет способствовать появлению на хроматограмме пиков компонентов. Однако, проведенное программирование температуры в линейном режиме в диапазоне (60-180)⁰С со скоростью подъема температуры 4 град/мин. не дало никаких результатов, по-видимому, из-за того, что эта фракция – головная.

Таблица 1. Удельные удерживаемые объемы (V_g , мл/г) C_6 – C_{10} н-парафиновых и C_6 – C_9 ароматических углеводородов на вспученном перлите с нанесенной НЖФ ПМС-200 (15%); температура колонки $t=60^{\circ}C$; скорость газа-носителя $v=30$ мл/мин.

Компоненты	Температура кипения, $^{\circ}C$	Исправленное время удерживания t_R , мин.	Удельный удерживаемый объем V_g , мл/г
н-Гексен-1	63,49	1,12	22,13
н- Гексан	68,74	1,12	22,13
н-Гептан	98,43	1,97	38,93
н-Октан	125,70	4,00	79,04
н-Нонан	150,80	8,55	168,94
н-Декан	174,10	18,50	365,54
Бензол	80,10	1,52	30,03
Толуол	110,63	1,52	30,03
Этилбензол	136,19	5,80	114,60
Кумол	152,39	9,10	179,81
Мезитилен	164,72	12,80	252,92
Псевдокумол	169,35	15,47	305,67
м-Ксилол	139,10	6,20	122,51
п-Ксилол	138,35	6,30	124,48
о-Ксилол	144,41	7,28	143,85

Как известно, разделение близкокипящих органических соединений является одной из наиболее сложных проблем газовой хроматографии. Одной из трудноразделяемых смесей является смесь изомеров ксилола, для разделения которой предложены различные органические производные глинистых минералов /5. 6/.

Таблица 2. Удельные удерживаемые объемы (V_g , мл/г) отдельных компонентов на термохимически модифицированном диатомите ДПК-650 с нанесенной НЖФ Карбовакс 400 со степенью пропитки 10% при разных температурах хроматографической колонки; скорость газа-носителя $v=40$ мл/мин

Компоненты	Температура колонки, $^{\circ}C$		
	50	60	70
	Удельный удерживаемый объем V_g , мл/г		
н-Гексан	11,7	9,0	8,7
н-Гептан	22,9	15,6	13,7
н-Октан	51,5	32,8	25,6
н-Нонан	122,7	74,4	53,6
н-Декан	314,7	175,2	120,7
Бензол	33,1	23,9	19,3
Толуол	33,1	23,9	19,3
Этилбензол	149,3	94,9	66,8
Кумол	246,8	151,3	104,4
Псевдокумол	464,5	275,2	184,1
о-Ксилол	217,7	134,1	-




Рис.4. Хроматограммы разделения смеси о-, м- и п-изомеров ксилола на диатомите ДПК-650 с нанесенной НЖФ Карбовакс 400 со степенью пропитки:
 а) 5% ($t=60^{\circ}\text{C}$); б) 10% ($t=45^{\circ}\text{C}$);
 в) 15% ($t=60^{\circ}\text{C}$);
 1 – м-ксилол; 2 – п-ксилол; 3 – о-ксилол; скорость газа-носителя $v = 40$ мл/мин.

Полученные нами результаты свидетельствуют о том, что при температуре хроматографической колонки 60°C , а также 70 и 80°C , на термохимически обработанном образце диатомита ДПК-650 с нанесенной НЖФ Карбовакс 400 в количестве 5% уже наблюдается слабое разделение о-, м- и п-изомеров ксилола; степень их разделения Ψ после нанесения 10% НЖФ составляет $0,62$ при температуре 30°C , правда на хроматограмме появляются всего два пика, так как м- и п-ксилолы выходят одним пиком, не разделяясь. Хорошее разделение этой смеси ($\Psi=0,82$) с

симметричными пиками имеет место при 45°C ; с повышением температуры до 60°C качество разделения ухудшается, но при этом форма пиков остается симметричной; увеличение количества нанесенной на диатомит НЖФ Карбовакс 400 до 15% практически не меняет картину разделения (рис.4).

Хорошее разделение смеси изомеров ксилола наблюдается также на диатомите ДПК-650 при температуре 40°C после нанесения НЖФ 1,2,3-Три(β-цианэтокси)пропан со степенью пропитки 10%. Примечательно, что по качеству разделения этой смеси, коэффициент разделения которой $\Psi=0,90$, этот образец несколько даже превосходит ДПК-650 с нанесенной НЖФ Карбовакс 400.

В заключение следует отметить, что вспученный перлит с нанесенной НЖФ ПМС-200 в количестве 15%, а также термохимически модифицированный диатомит ДПК-650 с нанесенной НЖФ Карбовакс 400 со степенью пропитки 10%, могут быть использованы для хроматографического исследования отдельных легких фракций нефти. Важным

результатом проведенного нами исследования является получение разделения смеси изомеров ксилола.

ლიტერატურა – REFERENCES – ЛИТЕРАТУРА

1. Вигдергауз М.С. Газовая хроматография как метод исследования нефти. М.: Наука, 1973, 256 с.
2. Гольберт К.А., Вигдергауз М.С. Курс газовой хроматографии. М.: Химия, 1974, 376 с.
3. Лулова Н.И., Тарасов А.И., Федосова А.К., Квасова В.А., Леонтьева С.А. – В кн.: Методы исследования нефтей и нефтепродуктов, присадок, катализаторов и адсорбентов. М.: Химия, 1967, с.18-31.
4. Мдивнишвили О.М., Уридия Л.Я., Махарадзе Л.В. Термохимическое модифицирование диатомита для получения инертного носителя. – Изв. АН Грузии, сер. хим., 1994/95, т.20/21, № 1-4, с.122-125.
5. Бондаренко С.В., Жукова А.И., Тарасевич Ю.И. Влияние модифицирования органическими катионами слоистых силикатов на их адсорбционные и разделительные свойства. – Укр.хим.ж., 1980, т.46, № 4, с.370-377.
6. Тарасевич Ю.И. и др. Хроматографические свойства цетилпиридиниевого монтмориллонита, полученного на основе его Cs-формы. – Укр.хим.ж., 1989, т.55, № 7, с.686-691.

ნავთობის მსუბუქი ფრაქციების ქრომატოგრაფიული კვლევა პერლიტური და დიატომიტური მყარი სარჩულების გამოყენებით

კ.ხაჩატურიანი, ლ.მახარაძე, მ.ბროკიშვილი

თსუ კავკასიის ალექსანდრე თვალჭრელიძის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტი

რეზიუმე

ჩატარებულია გაფუებული პერლიტის, დაფენილი უძრავი თხევადი ფაზით პოლიდიმეთილსილოქსანი (პმს)-200, და თერმოქიმიურად მოდიფიცირებული დიატომიტის, დაფენილი უთფ-ით კარბოვაქსი 400, ქრომატოგრაფიული კვლევა. დადგენილია მათი გამოყენების შესაძლებლობა საქართველოს ნავთობის საბადოების (ნორიო, საცხენისი, სამგორი) მსუბუქი ფრაქციების კომპონენტებად დასაყოფად და ამ ფრაქციების ინდივიდუალური შედგენილობის განსასაზღვრავად. ნაჩვენებია, რომ უკეთესი დაყოფა დიატომიტზე და პერლიტზე შეინიშნება შესაბამისად 50 და 60°C ტემპერატურაზე.

CHROMATOGRAPHIC ANALYSIS FOR OIL LIGHT FRACTIONS USING PERLITIC AND DIATOMITIC SOLID LINING

K.Khachaturian, L.Makharadze, M.Brokishvili

TSU Alexander Tvalchrelidze Caucasus Institute of Mineral Resources

SUMMARY

The chromatographic study has been carried out on swelled perlite with plating immovable liquid phase Polydimethylsiloxane (PMS)-200 and thermochemical modified diatomite, ILP Carbowax 400. It is established that they can be used for dividing Georgian oil deposits such as Norio, Satskhenisi, Samgori in to the light fractions components and to determine the individual composition of these fractions. It is shown that better fractionation is noticed on the temperature 50 and 60°C.

ნავთობდესტრუქტორი მიკროორგანიზმების როლი საქართველოს შავი ზღვის წყლების ბუნებრივი ორბანული ნაერთების დაზღაფი

ნ.ს.ბუაჩიძე, მ.კ.მჭედლიშვილი, ხ.ჩიქვილაძე, ლ.ნ.ინწკირველი, გ.პ.კუჭავა, ლ.უ.შავლიაშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი, თბილისი, საქართველო [e.mail:ecohydmnet@yahoo.com](mailto:ecohydmnet@yahoo.com)

ქბათუმისა და ფოთის რეგიონებში შესწავლილია შავი ზღვის სანაპირო ზოლის წყლების ნავთობპროდუქტებით დაბინძურების დინამიკა, მათი წყალში ხსნადობის კორელაცია ბუნებრივ რადიაციასთან კავშირში; წყლებში ნავთობდესტრუქტორი მიკროორგანიზმების იდენტიფიკაციისა და გამოყოფის მეთოდები, მოდელური ექსპერიმენტების პირობებში კი მაზუთის ბიოდესტრუქციის დინამიკა ინფრაწითელი სპექტროფოტომეტრული მეთოდის გამოყენებით.

საკვლევ რეგიონში, სადაც მთელი დატვირთვით ფუნქციონირებს ქბათუმისა და ფოთის პორტები, ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა, ბათუმისა და სუფსის ნავთობსადენების ტერმინალები და შესაბამისად ადგილი აქვს გემების ნავთობპროდუქტებით ინტენსიურ რეჟიმში ჩატვირთვას, პირველყოვლისა კვლევის ამოცანად დაისახა სანაპირო ზოლის წყლების ნავთობპროდუქტებით დაბინძურების ხარისხის დადგენა.


საანალიზო ნიმუშების აღების წერტილები მოცემულია სურ.1-ზე, ხოლო მათში ნავთობპროდუქტების საშუალო წლიური შემცველობები გრაფიკებზე 1 და 2. მიღებული შედეგებიდან ჩანს, რომ ბათუმის აკვატორიაში აღინიშნება ნავთობპროდუქტების არა მარტო არსებობა, არამედ მათი ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციაზე (ზდკ-0,05მგ/ლ) უფრო მაღალი შემცველობაც კი (1-19ზდკ).

ზედაპირულ წყლებში ყველაზე მეტად დაჭუჭყიანებული წერტილები გამოვლინდა ნავ-სადგურთან (4), მდინარეების - ბარცხანასა და კუბისწყლის შესართავებთან (5, 6) (სურ.1). აღნიშნულ წერტილებში, მაღალი იყო ნავთობპროდუქტების შემცველობა წყლის სიღრმეშიც (1-17ზდკ). ეს ძირითადად გამოწვეული იყო პორტის მუშაობით, აგრეთვე ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნისა და ცენტრალური გადასადენი ნავთობბაზიდან ჩამდინარე წყლებით, რომლებსაც ზემოთ აღნიშნული საწარმოებიდან სისტემატურად უშვებენ ზღვაში.

პუნქტებში 1 (ქალაქის პლაჟი), 2 და 3 (ნაპირიდან 2000 მ დაცილება) გაჭუჭყიანების ხარისხი რამდენადმე დაბალია სხვა წერტილებთან შედარებით. ნავთობპროდუქტების ყველაზე დაბალი კონცენტრაციები, როგორც წყლის ზედაპირზე, ასევე სიღრმეში დაფიქსირდა დაკვირვების 1 და 2 წერტილებში (1-4ზდკ).

როგორც გრაფიკ 1-დან ჩანს, ზღვის წყალში ნავთობპროდუქტების შემცველობა სეზონურ ხასიათს ატარებს: ივლის-სექტემბერში მაქსიმალურია (4-19ზდკ), ხოლო წლის ცივ თვეებში მინიმალური (1-5 ზდკ). გაჭუჭყიანების ხარისხი ზღვის წყლის ზედაპირულ შრეებში 1-4 ზდკ-ით აჭარბებს იმავე მაჩვენებელს წყლის სიღრმეში. ნავთობპროდუქტების შემცველობის სეზონური ცვალებადობა გამოწვეული უნდა იყოს შემდეგი ფაქტორებით:

1. ზღვის წყალში მთელი რიგი ფიზიკურ-ქიმიური პროცესების არსებობით, რის შედეგადაც წლის თბილ პერიოდში, როდესაც ბუნებრივი რადიაცია მაღალია, ნავთობის არომატული ჯგუფის ნახშირწყალბადების თვისება შთანთქონ ულტრაიისფერი გამოსხივების გრძელი დიაპაზონის ტალღები, იწვევს მათ ქიმიურ გააქტიურებას და შესაბამისად ხსნადობას, დაჟანგული პოლარული ნაერთების შექმნის გზით.
2. მადესტრუქტირებელი მიკროორგანიზმების აქტიური პერიოდით, რომელიც გამოკვეთილად ახასიათებს მათ წლის თბილ პერიოდში.




სურ.№1 საანალიზო ნიმუშების ადების წერტილები ქ.ბათუმისაკვატორიაში:

1. ქალაქის პლაჟი,
2. ქალაქის პლაჟი 1,75კმ,
3. ქალაქის პლაჟი 2,15კმ,
4. ნავსადგური,
5. მდ.ბარცხანისშესართავი,
6. მდ.კუბისწყალის შესართავი

საანალიზო ნიმუშების ადების წერტილები ქ.ფოთის აკვატორიაში:

1. მდ.რიონის შესართავი(I),
2. მდ.რიონის შესართავი(II),
3. ნავსადგური




გრაფიკი 1. ნავთობპროდუქტების შემცველობა ქ.ბათუმისაკვატორიაში.

1. წყლის ზედაპირი; 2.სიღრმე

უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ ანალოგიური სურათი მივიღეთ ფოთის აკვატორიის პირობებშიც (გრაფიკი 2).

C_{ნაგო.} მგ/ლ



გრაფიკი 2. ნავთობპროდუქტების შემცველობა ქ. ფოთის აკვატორიაში
1. წყლის ზედაპირი; 2. სიღრმე

კვლევის შემდგომ ეტაპზე ჩავატარეთ იდენტიფიკაცია ყველაზე აქტიური მიკროორგანიზმების შტამის გამოსავლენად ნავთობპროდუქტების მიმართ და შევისწავლეთ მათი ზრდის უნარი ნავთობის ზოგიერთ ფრაქციაზე.


გამოყოფილი ნავთობდესტრუქტორების 10 შტამის ზრდის ტენდენციის შესწავლის შედეგები სამი ტიპის ნავთობპროდუქტიან მინერალურ თხევად არეზე (მაზუთი, ტეტრადეკანი - C₁₄ H₃₀, ნელლი ნავთობი "თენგიზის" საბადოდან) მოცემულია ცხრ.1-ში, სადაც "+"-ით აღნიშნულია ზრდის არსებობა, ხოლო "-"-ით ზრდის არ არსებობა (მოცემულ საკვებ არეზე).

ცხრილი 1. ნავთობდესტრუქტორი მიკროორგანიზმების ზრდის ტენდენცია სხვადასხვა ტიპის ნახშირწყალბადიან თხევად საკვებ არეზე

ნავთობდესტრუქტორი მიკროორგანიზმი	სახეობა	მაზუთი	ტეტრადეკანი C ₁₄ H ₃₀	ნელლინავთობი
გვარი -Pseudomonas	I	+	+	-
	II	+	+	-
	III	+	+	-
	IV	+	+	-
	V	+	-	+
გვარი -Bacterium	I	-	+	-
	II	+	-	+
	III	+	-	-
გვარი -Bacillus	I	+	+	+
კლასი - Micromycetes	I	+	+	+

მოცემული ცხრილიდან ჩანს, რომ გამოყოფილი ნავთობდესტრუქტორები კარგად ვითარდებიან მაზუთიან მინერალურ საკვებ არეზე - 90% (9 შტამი), შედარებით ნაკლებად ტეტრადეკანიან მინერალურ საკვებ არეზე - 70% (7 შტამი), მცირედ კი ნელ ნავთობიან მინერალურ საკვებ არეზე - 40% (4 შტამი). გამოყოფილი ნავთობდესტრუქტორებიდან სამივე სახის საკვებ არეზე განვითარდა 2 შტამი. მათგან ერთ-ერთი, კერძოდ, ზღვის

მიკრომიცეტი(სურ.2) გამოყენებულ იქნა ჩვენს მიერ ნავთობპროდუქტების ბიოდეგრადაციის დინამიკის შესწავლის პროცესში (მოდელური ექსპერიმენტი).



სურ. 2. სამივე სახის საკვებ არეზე განვითარებული ნავთობდესტრუქტორი მიკროორგანიზმი (გვ. Bacillus)კულტივირების საწყის(A) და გვიანდელ(B) ეტაპებზე


წყალში არსებული ამა თუ იმ ნავთობპროდუქტებთან მიკროორგანიზმების ადაპტაციის უნარის გათვალისწინებით, რაც გამოიხატება იმაში, რომ გამოყოფილი ნავთობდესტრუქტორების 90% ვითარდება მაზუთიან საკვებ არეზე, შეიძლება ვთქვათ, რომ ზღვის წყალში ნავთობპროდუქტებით დაბინძურების პირობებში მნიშვნელოვანი როლი ენიჭებათ ნავთობის მძიმე ფრაქციებს, რომელთა ბიოდეგრადაცია აქტიურად მიმდინარეობს წლის თბილ პერიოდში.აქედან გამომდინარე, შავი ზღვის საქართველოს სანაპირო ზოლში ბიოდეტრუქციის როლის შეფასებისათვის თვითგაწმენდის პროცესებში შევისწავლეთ “თენგიზის” ნედლი ნავთობიდან მიღებული მაზუთის ფრაქციის ბიოდეტრუქცია ფოთის აკვატორიიდან გამოყოფილი ნავთობდესტრუქტორი მიკროორგანიზმების საშუალებით. მოცემულ ექსპერიმენტში დესტრუქციის პროცესის სრულყოფილი ანალიზისათვის ჩავატარეთ მიკროორგანიზმების ხელახალი ადაპტაცია მაზუთის ფრაქციასთან, მინერალურ საკვებ არეში.

მაზუთის ფრაქციაში შემავალი ზოგიერთი ფუნქციონალური ჯგუფების(-CH₃და -CH₂-) ცვლილებების მიხედვით,ბიოდეტრუქციის ხარისხს ვადგენდით ინფრაწითელი სპექტროფოტომეტრიული მეთოდის გამოყენებით, ნავთობდესტრუქტორი მიკროორგანიზმების ბიომასის ზრდის ფონზე.

მოდელური ექსპერიმენტის შედეგები მოცემულია მე-3 გრაფიკზე, სადაც პირველ მრუდზე მოცემულია ბიომასის ზრდის ტენდენცია მაზუთიან საკვებ არეზე, ხოლო მრუდ 2-ზე კი მაზუთის ფრაქციის ბიოდესტრუქციის დინამიკა.

გრაფიკზე წარმოდგენილი მასალიდან (მრუდი 1) ჩანს, რომ მიკროორგანიზმების ბიომასის ზრდის მაქსიმუმი თავის პიკს აღწევს 96 საათში, შემდეგ კი იწყებს შემცირებას და თავის მინიმუმს აღწევს 144 - 192 საათის დიაპაზონში. ასევე თვალნათლივ ჩანს 72-96 საათის მონაკვეთში მაზუთის ფრაქციაში დესტრუქციის ყველაზე აქტიური ფაზა (მრუდი 2), როდესაც მეთილის ფუნქციონალური ჯგუფების კონცენტრაცია იწევს მინიმუმამდე.

ბიომასა
მგ/ლ Lg I₀ / I



გრაფიკი 3. საკვლევი კულტურის ზრდის ინტენსიობა კულტივაციის პერიოდში და მაზუთის თვისობრივი დესტრუქცია კულტივაციის ამავალ პერიოდში
მრუდი - 1 კულტურის ზრდის ინტენსიობა, მრუდი - 2 მაზუთის ბიოდესტრუქციის დინამიკა

დასკვნა

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ არსებობს მკვეთრად გამოხატული დამოკიდებულება ბიოდესტრუქტორ მიკროორგანიზმების ბიომასის ზრდის ტენდენციასა და ნავთობპროდუქტების დესტრუქციის პროცესის დინამიკას შორის, რაც თვალნათლივ აისახა გრაფიკზე 3. ამ დამოკიდებულებიდან ასევე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ბიოდესტრუქცია საკმაოდ დინამიური პროცესია, მიმდინარეობს გარკვეულ ეტაპებად და საკვლევი ფუნქციონალური ჯგუფების შთანთქმის შეფარდებითი ლოგარითმები ნავთობდესტრუქტორი მიკროორგანიზმის ერთი შტამის ზემოქმედებით 8 დღე-ღამის განმავლობაში მცირდება 2-ჯერ.

ლიტერატურა – ЛИТЕРАТУРА – REFERENCES

1. Серченко С.Р., Таиманов Б.А., Таиманов Е.М. “Высокомолекулярные соединения нефти”. М.: Наука, 269стр, 1997.
2. Семенов А.Д., Стадомская А.Г., Пабленко Л.Ф. “Современные методы анализа нефтепродуктов в водах и их унификация”. В кн.: Методы анализа морских вод. Ленинград. Гидрометеиздат, 8-21стр, 1980.
3. Флутгейт Дж.Д. “Биологический распад углеводов в морской воде”. В кн.: Микробиология загрязненных вод. Москва, «Медицина», 135-150 стр, 1976.

РОЛЬ НЕФТЕДЕСТРУКТОРНЫХ МИКРООРГАНИЗМОВ В ДЕСТРУКЦИИ ПРИРОДНЫХ ОРГАНИЧЕСКИХ СОЕДИНЕНИЙ В ВОДАХ ЧЕРНОГО МОРЯ

Н.С.Буачидзе, М.В.Мchedlishvili, Х.Чиквиладзе, Л.Н.Инцкирвели, Г.П.Кучава,
Л.У.Шавлиашвили

Грузинский технический университет, Институт гидрометеорологии, Тбилиси, Грузия

РЕЗЮМЕ

Изучена динамика загрязнения вод прибрежной полосы Черного моря нефтепродуктами в регионах городов Батуми и Поти. Изучена также корреляция их растворимости в связи с природной радиацией, методы идентификации нефтедеструкторных микроорганизмов в водах и методы их выделения. В модельных экспериментах изучена динамика биодеструкции мазута посредством метода инфракрасной спектрофотометрии.

ROLE OF OIL DEGRADATION MICROORGANIZMS IN DESTRUCTION OF NATURAL ORGANIC COMPOUNDS IN THE BLACK SEA WATERS

N.Buachidze, M.Mchedlishvili, Kh.Chikviladze, L.Intskirveli, G.Kuchava, L.Shavliashvili

Georgian Technical University, Institute of Hydrometeorology, Tbilisi, Georgia

SUMMARY

Dynamics of pollution of waters of a coastal strip of the Black Sea by oil products in regions of the cities of Batumi and Poti is studied. Correlation of their solubility in connection with natural radiation, methods of identification of oil degradation microorganisms in waters and methods of their allocation is studied also. In modeling experiments dynamics of a biodegradation of fuel oil is studied by means of a method of an infra-red spectrophotometry.

აირდიზელის ეკოლოგიურობის ამაღლების შესაძლებლობის გამოკვლევა მისი სამუშაო ციკლის მათემატიკური მოდელის დამუშავებით

ჯ. იოსებიძე, ო. გელაშვილი, დ. ალადაშვილი, გ. აბრამიშვილი, ლ. ზურაბიშვილი, რ.
თედორაძე, ნ. დიასამიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ძ. კოსტავას ქ. 77, 0175, თბილისი, საქართველო

რეზიუმე: ნაშრომში დამუშავებულია აირდიზელის სამუშაო ციკლის მათემატიკური მოდელი, რომელიც აირდიზელის ეკოლოგიურობაზე მოქმედი სხვადასხვა პარამეტრის (თხევადი საწვავის ამნობები დოზა, კუმშვის ხარისხი, ჰაერის სიჭარბის კოეფიციენტი და სხვ.) ოპტიმიზირების საშუალებას იძლევა.

საკვანძო სიტყვები: აირი, დიზელი, აირდიზელი, ეკოლოგიურობა, საწვავის ხარჯი, ამნობები დოზა, ძრავის ეფექტური მაჩვენებლები.

შესავალი

ცნობილია, რომ შიგაწვის ძრავების საწვავის ხარჯისა და, შესაბამისად, ეკოლოგიურობის მაჩვენებლების გაუმჯობესების ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური და პერსპექტიული გზაა თხევადის ნაცვლად აიროვანი საწვავების გამოყენება. ეს საკითხი თეორიულად და პრაქტიკულად საკმარისად სრულყოფილად გადაწყვეტილი იძულებითი ანთების მქონე (ბენზინზე მომუშავე) ძრავებთან მიმართებაში (აშშ, იტალია, საფრანგეთი, რუსეთი და ა.შ.). რაც შეეხება დიზელის ძრავებს, რომელთა მუშაობის პრინციპი საწვავის თვითააღებას ემყარება, მათი გადაყვანა აიროვან საწვავზე გაძნელებულია იმის გამო, რომ აიროვანი საწვავის თვითააღების ტემპერატურა მნიშვნელოვნად აღემატება თხევადი საწვავისას. შესაბამისად, საჭირო ხდება აიროვან საწვავთან ერთად თხევადი საწვავის ნაწილობრივი (ე.ი. ამნობები დოზის) გამოყენება. ამიტომ დღეისათვის აქტუალურ პრობლემად რჩება სრულყოფილი აირდიზელის შექმნა და ფართოდ გავრცელება. ამ მხრივ კვლავ არსებობს თეორიული და პრაქტიკული პრობლემები. ერთ-ერთი ასეთია აირდიზელის სამუშაო ციკლის მათემატიკური მოდელირება და მისი საშუალებით ძრავის საწვავეკონომიურობასა და ეკოლოგიურობაზე მოქმედი პარამეტრების ოპტიმიზირება [1].

ძირითადი ნაწილი

აირდიზელის სამუშაო ციკლის დახასიათება შესაძლებელია მის პარამეტრებს შორის ცნობილი დამოკიდებულებებით, მაგრამ ამასთან ერთად აუცილებელია გათვალისწინებული იქნას ერთდროულად გამოყენებული ორი საწვავის (აიროვანი საწვავი და თხევადი დიზელის საწვავი) ფიზიკურ-ქიმიურ თვისებებს შორის არსებული განსხვავება [1].

თვისებებით განსხვავებული ორი საწვავის გამოყენება არ შეცვლის აირდიზელის თბური გაანგარიშების თანმიმდევრობას, მაგრამ რამდენადმე შეუცვლის სახეს პარამეტრებს შორის ცნობილ ზოგიერთ დამოკიდებულებას. გაანგარიშებისათვის, ჩვეულებრივ შესარჩევი პარამეტრების გარდა, დამატებით მოცემული უნდა იყოს (ცდების შედეგების მიხედვით) 1 კგ მოლ აიროვან საწვავზე მოსული თხევადი საწვავის რაოდენობა.

აღნიშნულის შესაბამისად, 1 კგ მოლი (კმოლი) აიროვანი საწვავის წვის უდაბლესი სითბო $H_{\gamma}^{\circ \text{მბ}}$, თუ მას დამატებული აქვს $G_{\text{მბ}}$ კგ დიზელის თხევადი საწვავი, იქნება:

$$H_{\gamma}^{\circ \text{მბ}} = 22,4H_{\gamma}^{\circ} + G_{\text{მბ}}Q_{\gamma}^{\text{მბ}}, \text{ კჯ/კმოლი აირი თხევადი საწვავის დანამატით, (1)}$$

სადაც H_{γ}° არის 1 მ³ აირის წვის უდაბლესი სითბო;

22,4 – აირის კმოლის მოცულობა, მ³/კმოლი;

Q_{γ}^{ob} – 1 კგ თხევადი საწვავის წვის უდაბლესი სითბო.

შერეული საწვავის (შს) – „1კმოლი აირი + $G_{\text{თხ}}$ კგ თხევადი საწვავი“ სრული დაწვისათვის თეორიულად აუცილებელი ჰაერის რაოდენობა L_0^{ob} შეიძლება განისაზღვროს გამოსახულებით:

$$L_0^{ob} = L_0^{\circ} + G_{\text{თხ}} L_0^{ob}, \quad \text{კმოლი ჰაერი/კმოლი შს,} \quad (2)$$

სადაც L_0° არის 1 კმოლი აირის სრული დაწვისათვის თეორიულად საჭირო ჰაერის რაოდენობა; $L_0^{ob} - 1$ კგ თხევადი საწვავის სრული დაწვისათვის თეორიულად საჭირო ჰაერის რაოდენობა.

აიროვანი და თხევადი საწვავების ელემენტური შემადგენლობების (C, H, O) მიხედვით წვის რეაქციების გათვალისწინებით, საბოლოოდ აირთხევადი საწვავის სრული დაწვისათვის საჭირო ჰაერის რაოდენობა იქნება:

$$L_0^{ob} = \frac{1}{0,208} \left[\Sigma \left(n + \frac{m}{4} - \frac{r}{2} \right) C_n H_m O_r + G_{\text{თხ}} \Sigma \left(\frac{C}{12} + \frac{H}{4} - \frac{O}{32} \right) \right], \quad \text{კმოლი ჰაერი/კმოლი შს} \quad (3)$$

სადაც 0,208 არის ჟანგბადის მოცულობითი შემცველობა 1 კმოლ ჰაერში;

n, m, r – შესაბამისად, აირის ემპირიულ ფორმულაში C, H და O ელემენტების მაჩვენებლები.

აღნიშნულის მიხედვით, ჰაერის სიჭარბის კოეფიციენტი α გამოითვლება ფორმულით:

$$\alpha = \frac{L_6}{L_0^{ob}}, \quad (4)$$

სადაც L_6 არის ძრავის ცილინდრებში შესული ჰაერის ნამდვილი რაოდენობა.

α -ს სიდიდე უნდა იყოს ზღვრებში (1,2-1,8), რაც უზრუნველყოფს თხევადი საწვავის სრულ წვას.

ახალი მუხტის (ამ) რაოდენობა M_1 იქნება:

$$M_1 = \alpha L_0^{ob} + 1, \quad \text{კმოლი ამ/კმოლი საწვავი.} \quad (5)$$

შერეული საწვავის – „1 კმოლი აირი + $G_{\text{თხ}}$ კგ თხევადი საწვავი“ სრული წვის პროდუქტების ცალკეული კომპონენტების რაოდენობა იქნება:

ნახშირორჟანგი –

$$M_{CO_2} = \sum_n C_n H_m O_r + G_{\text{თხ}} C/12, \quad \text{კმოლი CO}_2/\text{კმოლი შს;} \quad (6)$$

წყლის ორთქლი –

$$M_{N_2} = \sum_m 2C_n H_m O_r + G_{\text{თხ}} H/2, \quad \text{კმოლი H}_2\text{O}/\text{კმოლი შს;} \quad (7)$$

ჟანგბადი –

$$M_{O_2} = 0,208(\alpha - 1)L_0^{ob}, \quad \text{კმოლი O}_2/\text{კმოლი შს;} \quad (8)$$

აზოტი –

$$M_{N_2} = 0,792\alpha L_0^{ob}, \quad \text{კმოლი N}_2/\text{კმოლი შს.} \quad (9)$$

$G_{\text{თხ}}$ კგ თხევადი საწვავის დანამატის 1 კმოლი აირის სრული წვის პროდუქტების საერთო რაოდენობა იქნება:

$$M_2 = M_{CO_2} + M_{H_2O} + M_{O_2} + M_{N_2}. \quad (10)$$

გარემოს პარამეტრები – წნევა და ტემპერატურა აირდიზელისათვის (აღ) $P_{აღ}$ და $T_{აღ}$ მიიღება გარემოს წნევის P_0 და ტემპერატურის T_0 ტოლი.

ნარჩენი აირების ტემპერატურა $T'_{წ}$ ჩვეულებრივი დიზელისათვის და აირზე მომუშავე ძრავებისათვის, შესაბამისად, იცვლება ზღვრებში $600 \div 900K$ და $750 \div 1000K$. რამდენადაც, აირდიზელს შეიძლება ჰქონდეს დიზელთან შედარებით მაღალი კუმშვის ხარისხი, ამის გამო შეიძლება შერჩეული იქნას $T'_{წ}$ -ს შედარებით მაღალი მნიშვნელობა. იგივე ეხება ნარჩენი აირების წნევას $P'_{წ}$, რაც ცვალებადობს ზღვრებში $(1,05 \div 1,25)P_0$, მპა.

შეშვების პროცესის ძირითადი პარამეტრები: ტაქტის ბოლოს წნევა $P_{შ}$, მუხტის სიმკვრივე $\rho_{შ}$ და ტემპერატურა $T_{შ}$, ნარჩენი აირების კოეფიციენტი $v_{წ}$ და შევსების კოეფიციენტი $\eta_{შ}$ განისაზღვრება ცნობილი ფორმულებით, რომლებშიც აირდიზელის თავისებურება აისახება მხოლოდ ამ ფორმულებში შემავალი კუმშვის ხარისხის შესაძლო მაღალი სიდიდით, რაც რაოდენობრივ გავლენას ახდენს პარამეტრებზე $T_{წ}$, $v_{წ}$ -ზე და ამით $T_{შ}$ და $\eta_{შ}$ -ზე.

კუმშვის პროცესის ძირითადი პარამეტრები: ტაქტის ბოლოს წნევა P_j და ტემპერატურა T_j ; სამუშაო ნარევის საშუალო მოლური სითბოტევადობა $(mc'_v)_{t_0}^j$ განისაზღვრება ცნობილი ფორმულებით. აირდიზელის ციკლის გავლენა ამ პარამეტრების სიდიდეებზე აისახება მათ გასაანგარიშებელ გამოსახულებებში შემავალი პარამეტრების ε -ს, პოლიტროპის საშუალო მაჩვენებლის n_1 და $v_{წ}$ -ს მნიშვნელობების გავლენით. თავად n_1 -ს სიდიდე კი განისაზღვრება დიზელისათვის კუმშვის ადიაბატის მაჩვენებლის k_1 განსასაზღვრი ცნობილი ნომოგრამიდან $T_{შ}$ და ε -ს მიხედვით, ხოლო ნარჩენი აირების საშუალო მოლური სითბოტევადობა $(mc''_v)_{t_0}^j$ – ცნობილი ცხრილიდან [3] α და T_j -ის მიხედვით.

წვის პროცესის მახასიათებელი ძირითადი პარამეტრები: ახალი მუხტის და სამუშაო ნარევის მოლეკულური ცვალებადობის კოეფიციენტები μ_0 და μ , სამუშაო ნარევის წვის სითბო $H_{სამ.წარ}$, წვის პროდუქტების საშუალო მოლური სითბოტევადობები $(mc''_v)_{t_0}^{წვ}$ და $(mc''_p)_{t_0}^{წვ}$ განისაზღვრება ცნობილი ფორმულებით, რომლებშიც ამ პარამეტრებზე გავლენის მქონე აირდიზელის სამუშაო ციკლის თავისებურებათა შესაბამისად უკვე კორექტირებული პარამეტრებია $M_1, M_2, v_{წ}$ და $H_{წ}^{\circ}$. შედეგად, აირდიზელისათვის წვის ბოლოს ტემპერატურა $T_{წ}$ შეიძლება განისაზღვროს აღნიშნულის შესაბამისად ტრანსფორმირებული დიზელის ძრავში სამუშაო ნარევის წვის ცნობილი განტოლებიდან:

$$t_{წ} = -\frac{1}{\mu(mc''_p)_{t_0}^{წვ}} \{ \xi_{წ} (22,4H_{წ}^{\circ} + G_{წ} Q_{წ}^{mb}) + [(mc'_v)_{t_0}^j + 8,315\lambda] t_j + 2270(\lambda - \mu) \}, ^{\circ}C, \quad (11)$$

სადაც $\xi_{წ}$ არის სითბოს გამოყენების კოეფიციენტი. იგი ცვალებადობს ზღვრებში: დიზელისათვის განუყოფელი და გაყოფილი წვის კამერებით – $0,70 \div 0,88$ და $0,65 \div 0,80$; აირზე მომუშავე ძრავებისათვის – $0,80-0,85$;

$\lambda = P_{წ}/P_j$ არის წნევის ზრდის ხარისხი. სხვადასხვა კონსტრუქციის დიზელისათვის იგი ცვალებადობს ზღვრებში $1,2 \div 2,5$.

(11)-ის შესაბამისად, $T_{წ} = t_{წ} + 273K$.

წვის ბოლოს მაქსიმალური წნევა $P_{წ} = \lambda P_j$, საიდანაც ჩანს, რომ აირდიზელის თავისებურების გავლენა $P_{წ}$ -ის სიდიდეზე აისახება ε და n_1 პარამეტრების გავლენით P_j -ზე.

გაფართოების პროცესის მახასიათებელი ძირითადი პარამეტრები: წინასწარი გაფართოების ხარისხი ρ , შემდგომი გაფართოების ხარისხი δ , ტაქტის ბოლოს წნევა P_j და

ტემპერატურა T_g გაიანგარიშება ცნობილი ფორმულებით. აირდიზელის შემთხვევისათვის მათი სიდიდეების კორექტირება ხდება აღნიშნულ ფორმულებში შემავალი μ , T_g , $T_{\text{წვ}}$, ε და n_2 პარამეტრების გავლენით. გაფართოების პოლიტროპის საშუალო მაჩვენებელი n_2 განისაზღვრება დიზელისათვის გაფართოების ადიაბატის მაჩვენებლის k_2 განსაზღვრული ცნობილი ნომოგრამის საშუალებით α , δ და $T_{\text{წვ}}$ პარამეტრების მიხედვით [3].

აირდიზელის საშუალო ციკლის მათემატიკური მოდელირების მოცემულ ეტაპზე ხდება გაანგარიშებით მიღებული ნარჩენი აირების ტემპერატურის T_{6s} შედარება ზემოთ პირობითად მიღებულ მის სიდიდესთან T'_{6s} . თუ მათ შორის განსხვავება დასაშვებზე მეტია, უნდა მოხდეს სათანადო პარამეტრების კორექტირება და მიღებული მათემატიკური მოდელის დაზუსტება.

აირდიზელის საშუალო ციკლის ინდიკატორული პარამეტრები:

თეორიული საშუალო ინდიკატორული წნევა

$$\left(P'_i = \frac{P_d}{\varepsilon - 1} \left[\lambda(\rho - 1) + \frac{\lambda\rho}{n_2 - 1} \left(1 - \frac{1}{\delta^{n_2 - 1}} \right) - \frac{1}{n_1 - 1} \left(1 - \frac{1}{\varepsilon^{n_1 - 1}} \right) \right] \right), \text{ მპა.} \quad (12)$$

საშუალო ინდიკატორული წნევა

$$P_i = \varphi_i P'_i, \text{ მპა,} \quad (13)$$

სადაც φ_i არის ინდიკატორული დიაგრამის სისრულის კოეფიციენტი. აირდიზელისათვის შეიძლება მივიღოთ $\varphi = 0,95$.

როგორც ცნობილი (12) და (13) გამოსახულებებიდან ჩანს, მათი საშუალებით განსაზღვრული პარამეტრები P'_i და P_i სიდიდით დიზელისაგან განსხვავებული იქნება, რადგანაც მათში აირდიზელის თავისებურება ასახულია ε , n_2 , ρ და δ პარამეტრების მნიშვნელობებით.

ინდიკატორული მ.ქ.კ. განისაზღვრება აირდიზელისათვის ტრანსფორმირებული ფორმულით:

$$\eta_i = P_i \ell_o^{\circ \text{sb}} \alpha (H_{\text{წ}}^{\circ \text{sb}} \rho_{\text{წ}} \eta_{\nu}) = P_i (\ell_o^{\circ} + G_{\text{sb}} \ell_o^{\text{sb}}) \alpha [22,4 H_{\text{წ}}^{\circ} + G_{\text{sb}} Q_{\text{წ}}^{\text{sb}} \rho_{\text{წ}} \eta_{\nu}], \quad (14)$$

საწვავის ინდიკატორული კუთრი ხარჯი ასევე გამოითვლება აირდიზელისათვის ტრანსფორმირებული ფორმულით:

$$g_i = 3600 / (H_{\text{წ}}^{\circ \text{sb}} \eta_i) = 3600 [(H_{\text{წ}}^{\circ} + G_{\text{sb}} Q_{\text{წ}}^{\text{sb}}) \eta_i], \text{ მ}^3\text{მს}/(\text{კვტ}\cdot\text{სთ}). \quad (15)$$

აირდიზელის ეფექტური მაჩვენებლები:

მექანიკური დანაკარგების შესაბამისი საშუალო წნევა

$$P_g = 0,089 + 0,0118 V_{\text{დგ.საშ.}} \quad [3] \quad (16)$$

სადაც $V_{\text{დგ.საშ.}}$ არის დეგუმის საშუალო სიჩქარე.

წინასწარ მიღებულია, რომ $V_{\text{დგ.საშ.}} = 10,2 \text{ მ/წმ}$.

საშუალო ეფექტური წნევა

$$P_g = P_i - P_g, \text{ მპა.} \quad (17)$$

მექანიკური მ.ქ.კ.

$$\eta_g = P_g / P_i \quad (18)$$

ეფექტური მ.ქ.კ.

$$\eta_g = \eta_i \eta_g \quad (19)$$

საწვავის ეფექტური კუთრი ხარჯი გამოითვლება ტრანსფორმირებული ფორმულით:

$$g_g = 3600 / (H_{\text{წ}}^{\circ \text{sb}} \eta_g) = 3600 [(H_{\text{წ}}^{\circ} + G_{\text{sb}} Q_{\text{წ}}^{\text{sb}}) \eta_g], \text{ მ}^3\text{მს}/(\text{კვტ}\cdot\text{სთ}). \quad (20)$$

აღნიშნულის შესაბამისად, თხევადი და აიროვანი საწვავების ეფექტური კუთრი ხარჯები გამოითვლება ფორმულებით:

$$g_g^{\text{sb}} = 3600 / [(G_{\text{sb}} Q_{\text{წ}}^{\text{sb}}) \eta_g], \text{ გ}/(\text{კვტ}\cdot\text{სთ}) \quad (21)$$

$$g_{\text{წ}}^{\circ} = 3600 / [(H_{\text{წ}}^{\circ}) \eta_{\text{წ}}], \quad \text{მ}^3/(\text{კვტ}\cdot\text{სთ}) \quad (22)$$

(12)-(20) გამოსახულებების ანალიზიდან ჩანს, რომ თხევადი საწვავის ამნობი დოზის სიდიდე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს აირდიზელის ეფექტურ მ.ქ.კ.-სა და საწვავის ეფექტურ კუთრ ხარჯზე და მისი ოპტიმიზირებით შესაძლებელია დიზელის აირდიზელად კონვერტირებისას ძრავის საწვავეკონომიურობისა და ამით ეკოლოგიურობის ამაღლება.

დასკვნა

დამუშავებულია აირდიზელის სამუშაო ციკლის მათემატიკური მოდელი, რომლის კომპიუტერული პროგრამის რეალიზება ძირითადი პარამეტრების (თხევადი საწვავის ამნობი დოზის, ჰაერის სიჭარბის კოეფიციენტის, კუმშვის ხარისხის და სხვ.) ოპტიმიზირების და ამით ძრავის საწვავეკონომიურობისა და, შესაბამისად, ეკოლოგიურობის ამაღლების საშუალებას იძლევა.

ლიტერატურა – REFERENCES – ЛИТЕРАТУРА

1. ჯ. იოსებიძე, გ. აბრამიშვილი და სხვა. საავტომობილო საწვავ-საზეთი მასალების გამოყენება და ეკოლოგია. თბილისი, „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2009, –129 გვ.
2. შ. ლომინაძე, მ. ყიფშიძე, გ. ჩიტიშვილი. ენერგეტიკული დანადგარები. თბილისი, „განათლება“, 1987, –გვ.10-15.
3. А.И. Колчин, В.П. Демидов. Расчет автомобильных и тракторных двигателей. Москва, Изд. «Высшая школа», 2003, –495 с.

ИССЛЕДОВАНИЕ ВОЗМОЖНОСТИ ПОВЫШЕНИЯ ЭКОЛОГИЧНОСТИ ГАЗОДИЗЕЛЕЙ ОБРАБОТКОЙ МАТЕМАТИЧЕСКОЙ МОДЕЛИ ИХ РАБОЧЕГО ЦИКЛА

Дж. Иосебидзе, О. Гелашвили, Д. Аладашвили, Г. Абрамишвили, Л. Зурабишвили,
Р. Тедорадзе, Н. Диасамидзе

Грузинский технический университет, Тбилиси

РЕЗЮМЕ

В работе обработана математическая модель рабочего цикла газодизелей, которая дает возможность оптимизации различных параметров (зажигательная доза жидкого топлива, степень сжатия, коэффициент избытка воздуха и др.), оказывающих воздействие на экологичность газодизелей.

STUDY OF POSSIBILITY OF IMPROVEMENT OF GAS DIESELS ECOLOGICAL COMPATIBILITY BY PROCESSING OF MATHEMATICAL MODEL OF THEIR WORKING CYCLE

J. Iosebidge, O. Gelashvili, D. Aladashvili, G. Abramishvili, L. Zurabishvili, R. Tedoradze,
N. Disamidze

Georgian Technical University, Tbilisi

SUMMARY

The mathematical model of gas diesels working cycle is given in the work that make possible optimization of various parameters (kindling dose of liquid fuel, degree of compression, excess air factor) having influence on the ecological compatibility of gas diesels.

ნარჩენებით დაბინძურებულ ნიადაგზე ბუნებრივი ანალციმის ჯემოქმედების დადებითი ეფექტი

ვლადიმერ ციციშვილი, ნანული დოლაბერიძე, მაია ალელიშვილი, მანანა ნიჟარაძე,
ნატო მირძველი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, პეტრე
მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტი
საქართველო, თბილისი, ელ.ფოსტა: physorgchem@gmail.com

გარემოს დაბინძურებისაგან დაცვა და ადამიანის ფიზიკური არსებობისა და განვითარებისათვის სასურველი პირობების უზრუნველყოფა, სადღეისოდ, კაცობრიობისათვის უდიდეს პრობლემას წარმოადგენს. ამ მხრივ, განსაკუთრებით საყურადღებოა მიწის ზედაპირზე ნავთობისა და ნავთობპროდუქტების ნარჩენების დაღვრით გამოწვეული ნიადაგის დაბინძურება, რაც ასე ტრადიციული გახდა თანამედროვე ცივილიზაციისათვის. აღნიშნული ფაქტი სერიოზულ საფრთხეს უქმნის გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობას, არღვევს ნიადაგის მიკრობული სისტემის ფუნქციონირებას და ხელს უწყობს ნიადაგის პროდუქტიულობის შემცირებას. ასეთი მიწები, სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა მოყვანისათვის დიდი ხნის განმავლობაში უსარგებლოა. აქედან გამომდინარე, მათი რეკულტივირების პრობლემა აქტუალურია. თუ ნავთობით დაბინძურება მასსიათებელია ძირითადად მხოლოდ მისი მოპოვების, გადამუშავებისა და ტრანსპორტირების ადგილებისათვის, ნავთობპროდუქტებით - დიზელის საწვავი, ნავთი, მაზუთი, საცხი ზეთები, დაბინძურება გავრცელებულია თითქმის ყველგან [1]. ამასთან დაკავშირებით, ამგვარ დაბინძურებასთან ბრძოლა XXI საუკუნის აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს. ამ მიზნით მიზანშეწონილია ბუნებრივი ცეოლითების, სახელდობრ-ცეოლითიზირებული ქანების გამოყენება მათი უნიკალური ფიზიკურ-ქიმიური თვისებების გამო [2,3].

კვლევის მიზანს წარმოადგენდა ბუნებრივი ცეოლითების გამოყენების შესაძლებლობა და მიზანშეწონილობის ჩვენება ტრანსფორმატორის ნამუშევარი ზეთით დაბინძურებული ნიადაგის პირველსაწყისი თვისებების აღდგენისა და სრულფასოვანი კულტურების მოყვანისათვის.

ექსპერიმენტი ჩატარდა სავსე პირობებში გამარჯვების ფერმერულ მეურნეობაში, სამ სერიად, თითოეული ოთხი განმეორებით. პირველ სერიაში $1,0 \times 0,5$ მ-ის ზომის ოთხი ყუთი გაივსო ნიადაგით; ფენის სიმაღლე $0,40$ მ. თითოეულ ყუთში მოთავსდა 48 კგ ნიადაგი. ნავთობის ნარჩენებით დაბინძურების იმიტაციის შესაქმნელად, ნიადაგი ექსპერიმენტის მეორე და მესამე სერიებში დამუშავდა ტრანსფორმატორის ნამუშევარი ზეთით, თითოეულ ყუთზე 200 მლ-ის რაოდენობით.

ექსპერიმენტის მესამე სერიაში ნიადაგის ზედა ფენაში შეტანილი იქნა დაწვრილმანებული ანალციმშემცველი ტუფი (ფრაქცია $0,5-1,0$ მმ) $0,5$ მ²-ზე 200 გ-ის რაოდენობით. ექსპერიმენტში გამოყენებული იყო გელათის ადგილმდებარეობის ანალციმშემცველი ქანი მუქი ნაცრისფერი შეფერილობით, რომლის ქიმიური შედგენილობა, გამოსახული ოქსიდების სახით, შემდეგია:

$\text{SiO}_2-56,30$; $\text{Al}_2\text{O}_3-22,31$; $\text{Na}_2\text{O}-9,50$; $\text{CaO}-1,05$; $\text{MgO}-0,45$; $\text{K}_2\text{O}-2,0$; $\text{H}_2\text{O}-8,20$.


ძირითადი მინერალის შემცველობა ქანში $80-85\%$ -ია. თანამდევ მინერალებს წარმოადგენს: კალციტი, მინდურის შპატი, კვარცი, თიხა და ნახშირი. ტესტურ კულტურად შეირჩა “ნანტის” ჯიშის სტაფილო, საადრეო, მუქი ნარინჯისფერი, დამახასიათებელი ცილინდრული ძირხვენი. სტაფილოს თესლი წინასწარ დამუშავდა

ტექტრამეთილთიურამდისულფიდით (TMTD) და დაითესა გაზაფხულზე 20 აპრილს. თესვის სიღრმე 1-2 სმ, ერთზოლიანი მეთოდით 13 მმ ინტერვალით, რიგებშორის ინტერვალი 38 სმ. თითოეულ ყუთში დაითესა სტაფილოს 200 თესლი. გაღვივება თესლის შენელებული იყო სიცივეების გამო და გაღვივება მოხდა მხოლოდ 15 მაისისათვის, ე.ი. დათესვიდან 26-ე დღეს. ექსპერიმენტის პირობებიდან გამომდინარე, თესლი აღმოცენდა არათანაბრად; ყველაზე დაბალი აღმოცენების ხარისხი აღმოჩნდა დაბინძურებულ ყუთებში და შეადგინა დათესილი რაოდენობის 45%, საკონტროლო და ანალციმშემცველ ყუთებში- შესაბამისად 80 და 85%. სტაფილო ზრდის პერიოდში სამჯერ გამოიხშირა მცენარის საკვები ფართობის გაზრდის მიზნით. პირველად გამოიხშირვის შემდეგ- 10 ივნისს - თითოეულ ყუთში დარჩა 110 ძირი; მეორედ, 6 ივლისს- დარჩა 85 ძირი და მესამედ, საბოლოოდ, 22 ივლისს-დარჩა 65 ძირი. ძირხვევების ამოღება მოხდა 15 ნოემბერს. ნიადაგი, ტენიანობის შესანარჩუნებლად ირწყვებოდა დღისით, არსებული აგროტექნიკური ნორმების შესაბამისად. ძირითადად განისაზღვრა სტაფილოს ძირხვევების ბიომეტრული მახასიათებელი (ცხრილი 1) და ქიმიური შედგენილობა (ცხრილი 2).

ცხრილი 1. სტაფილოს ზოგიერთი ბიომეტრული მაჩვენებელი

მაჩვენებელი	საშუალო წონა, გ	სიგრძე, სმ	სისქე, სმ	საშუალო მოცულობა, სმ ³
კონტროლი	85	12,5	2,5	122
სატრანსფორმატორო ზეთის ნარჩენებით დაბინძურებული ნიადაგი	25	8,2	1,5	27,6
სატრანსფორმატორო ზეთის ნარჩენებით დაბინძურებული ნიადაგი და ანალციმი	82	10,5	2,0	115

მიღებული შედეგები (ცხრილი 1, სურათი) მოწმობს, რომ სტაფილოს ძირხვევების განვითარება ტრანსფორმატორის ზეთით დაბინძურებულ ნიადაგზე ძლიერ შეფერხებულია კონტროლთან და ცეოლითშემცველ ყუთებთან შედარებით. ძირხვევების საშუალო წონა ანალციმიან ნიადაგზე თითქმის 4-ჯერ მეტია უცეოლითო ნიადაგთან შედარებით. ტრანსფორმატორის ნამუშევარი ზეთით ნიადაგის დაბინძურება არა მარტო მცენარის ზრდა-განვითარებაზე მოქმედებს უარყოფითად, არამედ მის თვისებით მაჩვენებლებზეც (ცხრილი 2). ცხრილიდან ჩანს, რომ ტრანსფორმატორის ზეთით დაბინძურებულ ნიადაგზე მოყვანილი სტაფილოს ძირხვევებში შემცირებულია ასკორბინის მჟავისა და კაროტინის შემცველობა.



სურათი. სტაფილო მოყვანილი: ა-სუფთა ნიადაგი (კონტროლი); ბ-სატრანსფორმატორო ზეთის ნარჩენების შემცველი ნიადაგი ც-სატრანსფორმატორო ზეთის და ანალციმის შემცველი ნიადაგი.

ცხრილი 2. სტაფილოს ძირხველების ქიმიური შედგენილობა

მაჩვენებელი	კონტროლი	სატრანსფორმატორო ზეთის ნარჩენებით დაბინძურებული ნიადაგი	სატრანსფორმატორო ზეთის ნარჩენებით დაბინძურებული ნიადაგი და ანალციმი
მშრალი ნივთიერება, %	8,5	7,65	5,00
შაქრების ჯამი, %	5,1	2,80	4,92
უჯრედისი, % ნელლ ნივთიერებაზე	1,75	1,53	1,62
ცხიმი, % ნელლ ნივთიერებაზე	0,15	0,22	0,20
ნაცარი, % ნელლ ნივთიერებაზე	1,12	1,19	1,00
კაროტინი, მგ/100გ ნელლ ნივთიერებაზე	85,2	48,6	76,5
ასკორბინი, მგ/100გ ნელლ ნივთიერებაზე	4,0	2,7	3,8

ამრიგად, წინასწარი მონაცემებით შესაძლებელია დავასკვნათ, რომ ცეოლითური ქანების შეტანა ალაღვენს ნავთობპროდუქტების ნარჩენებით დაბინძურებულ ნიადაგს.

ლიტერატურა – REFERENCES – ЛИТЕРАТУРА

1. Environmental Chemistry, Edited by J.O.M Bockris Premium Press, New York, 1977.
2. Г.В.Цицишвили, Т.Г.Андроникашвили, М.А.Кардава. Природные цеолиты в земледелии. Изд. » Мецниереба »1993, 128с.
3. Mumpton F.A.La roca magica: Uses of Natural Zeolites in Agrikulture and Industry: Proc. Nat. Acad. Sci., USA, 1999. Vol. 96, p.p. 3463-3470.

ПОЛОЖИТЕЛЬНЫЙ ЭФФЕКТ ВОЗДЕЙСТВИЯ ПРИРОДНОГО АНАЛЬЦИМА НА ПОЧВУ, ЗАГРЯЗНЕННУЮ ОТХОДАМИ НЕФТЕПРОДУКТОВ

В.Г. Цицишвили, Н.М.Долаберидзе, М.В. Алелишвили, М.О.Нижарадзе, Н.А. Мирдзвели
Институт физической и органической химии им. П.Г. Меликишвили Тбилисского государственного университета им. Ив. Джавахишвили

РЕЗЮМЕ

Выявлен положительный эффект воздействия цеолита на рекультивизацию почвы, загрязненной отходами отработанного трансформаторного масла, а также на биометрические характеристики и химический состав моркови сорта “Нант”, выращенной на этой почве.

POSITIVE EFFECT OF NATURAL ANALCIME ON SOIL, POLLUTED BY REMAINS OF OIL PRODUCTS

Vladimer Tsitsishvili, Nanuli Dolaberidze, Maia Alelishvili, Manana Nijaradze, Nato Mirdzveli
Iv. Javakhishvili Tbilisi State University, Petre Melikishvili Institute of Physical and Organic Chemistry

SUMMARY

Positive effect of natural analcime resulting in influence on the recultivisation of soil, polluted by used transformer oil remains, as well as on the biometrical characteristics and chemical composition of varieties of the Nant carrots.

ეკოლოგიურად მისაღები სასოფლო-სამეურნეო პრეპარატების შემუშავება ბიოლოგიური პრინციპების საფუძველზე


ირმა მიქაძე, ნინო ქავთარაძე, ლიპარიტ დოლიძე, თამარ დგებუაძე, ქეთევან ქოჩიაშვილი,
ავთანდილ დოლიძე

*ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი/პეტრე
მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტი*

პესტიციდების ფართო გამოყენება განპირობებულია იმ გარემოებით, რომ ხშირ შემთხვევაში პოტენციურად შესაძლებელია მოსავლის 1/3-ზე მეტი რაოდენობის დაკარგვა მავნებლების, დაავადებათა და სარეველების მოქმედების გამო. პესტიციდების გამოყენება საშუალებას იძლევა დავიცვათ მოსავალი და გავზარდოთ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე მოსავლიანობა. სადღეისოდ, პესტიციდების მსოფლიო ასორტიმენტში 1 000-ზე მეტი აქტიური მოქმედი საწყისია, რომელთაგან შედარებით ხშირად გამოიყენება 700-მდე საწყისი. მათ საფუძველზე მზადდება ათეულ ათასობით სხვადასხვა პრეპარატული ფორმა, ზოგ შემთხვევაში რამდენიმე აქტიური მოქმედი საწყისის კომბინაციით. ამასთან ერთად ყოველწლიურად დაახლოებით 200 000 ახალი ქიმიური ნივთიერება გამოიცდება პოტენციურ პესტიციდურ აქტივობაზე.

პესტიციდების გამოყენება გავლენას ახდენს ნიადაგზე და მასთან შეხებაში მყოფ გარემოზე (წყალი, ჰაერი, მცენარე), ასევე იცვლება ნიადაგის მიკრობიოცენოზი და ზოგ შემთხვევაში ირღვევა თვითგასუფთავების პროცესები. აქედან გამომდინარე, პესტიციდების უკონტროლო გამოყენებამ შეიძლება გამოიწვიოს გარემოს შეუქცევადი ცვლილებები. რასაკვირველია, პესტიციდების ნეგატიური გავლენა, განსაკუთრებით ქლორ- და ფოსფორორგანული პრეპარატებისა ძალზე დიდია და ახდენს გავლენას მოსახლეობის ჯანმრთელობაზე. ზემოთდასახელებული სახეობის პესტიციდების ჯამური რაოდენობა ამჟამად არ აღემატება მოხმარების 15%-ს, თუმცა თავის დროზე საკმაოდ მაღალი იყო მათი გამოყენების წილი. სამწუხაროდ, ზოგიერთ პესტიციდს მაღალ ეფექტურობასთან ერთად აღმოაჩნდა ეკოსისტემებში დაგროვების უნარი. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, პოლიქლორირებული პესტიციდები, რომლებსაც მაღალეფექტურობასთან ერთდ აღმოაჩნდათ განსაკუთრებული მდგრადობა ბუნებრივი დეგრადაციისადმი.

აქედან გამომდინარე, დღის წესრიგში დადგა ბიოლოგიურ პრინციპებზე აგებული პესტიციდების შემუშავება, ასევე მათ პრეპარატულ ფორმებში ბუნებრივი მასალების გამოყენება, რაც საბოლოო ჯამში შესაძლებლობას იძლევა პესტიციდების ნომენკლატურაში გავზარდოთ ეკოლოგიურად ნაკლებად სახიფათო საშუალებების წილი. საქართველოში, ტრადიციულად მეტი რაოდენობით მოიხმარება ინსექტიციდები და ფუნგიციდები, დანარჩენი საშუალებები გაცილებით ნაკლებად გამოიყენება. ინსექტიციდებიდან ძირითადად შემოიტანება პირეტროიდების ტიპის პრეპარატები, რომლებიც შექმნილია გვირილას ყვავილის ფოთლებში არსებული პირეტრინების სინთეზური ანალოგების საფუძველზე.



არსებობს პირეტროიდების კომპონენტების წარმოების მსოფლიო დაყოფა, კერძოდ, ქრიზანთემის მჟავას აწარმოებს სულ 2-3 კომპანია, ხოლო ფუძე ნაწილს - დიფენილის ნაწარმებს ამზადებენ სხვა კომპანიები და შემდეგ ხდება ამ კომპონენტების კონდენსაცია პრეპარატული ფორმის მომზადებით.

ამდენად, საქართველოში გამოყენებული იმპორტული ინსექტიციდების აქტიური მოქმედი საწყისების ფორმულაცია ხდება სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებული ფორმების მიერ და სხვადასხვა დასახელებით შემოდის ჩვენს ბაზარზე. ჩვენს მიერ მოწოდებულია, ინსექტიციდური პრეპარატულ ფორმაში მცენარეული ანარჩინის - სკიპიდარის გამოყენება, რაც ხელს უწყობს ინსექტიციდური ეფექტურობის ამაღლებას და უკეთეს დამაგრებას მცენარეზე. ამასთან ერთად, მოწოდებულია მევენახეობის მავნებლის - ყურძნის ჭიის სქესის ფერომონის ძილების გამარტივებული სქემა და შესაძლებელია, ამ ფერომონული პრეპარატის დამზადება ქვეყნისათვის საჭირო რაოდენობით. უნდა აღინიშნოს, რომ თავის დროზე ყურძნის ჭიის სქესის ფერომონის ფართო გამოყენებამ დათრგუნა ამ მავნებლის პოპულაციები ეკონომიკურად მისაღებ დონემდე. თუმცა, საჭირო იქნება ამ ღონისძიებების დახვეწა და ეფექტურობის გაზრდა. ყოველ შემთხვევაში ჩვენს სამუშაო ჯგუფს შეუძლია ქვეყნის სოფლის მეურნეობის ძირითად მავნებელთა სქესის ფერომონული პრეპარატების დამზადება [1-7].

1986-1992 წლებში სამუშაო ჯგუფმა დაამზადა სქესის ფერომონის მჭერის 200 000-ზე მეტი კომპლექტი (ორიგინალური ენტომოლოგიური წებოს გამოყენებით) საქართველოს სოფლის მეურნეობის ძირითადი მავნებლების საწინააღმდეგოდ.

1. მევენახეობა - *Lobesia botrana* Shiff, E,Z-7,9 - დოდეკადიენ-1-ილ-აცეტატი

CCCCC=CCCCCCCC(=O)OC (C₆+C₃+C₃)

2. ვაშლი - *Laspeyza pomonella* L., E,E-8,10 – დოდეკადიენოლი

CCCCC=CCCCCCCCO (C₄+C₆+C₂)

3. ატამი - *Grapholita molesta* Bush., ძირითადი კომპონენტი Z-8-დოდეცენ-1-ილ - აცეტატი


CCCCC=CCCCCCCC(=O)OC (C₃+C₂)

4. ქლიავი - *Grapholita funebrana* Ts., ძირითადი კომპონენტი + მეორადი კომპონენტი (6-7%) E-8-დოდეცენ-1-ილ-აცეტატი

CCCCC=CCCCCCCC(=O)OC

ეფექტურია შერეული მოქმედების პრეპარატების დამზადებაც, რაც შესაძლებლობას იძლევა შესხურების შემდეგ ნიადაგში ჩამოსული პრეპარატი გამოყენებულ იქნეს მცენარის იმუნიტეტის ასამაღლებლად. ასეთი კომპლექსური პრეპარატები შესაძლებლობას იძლევა მავნებელთან ბრძოლასთან ერთად გაეზარდოს მცენარის მოსავლიანობაც რაციონალური კვების ხარჯზე. ასეთი პრეპარატების დამზადების დროს ძალზე მნიშვნელოვანია ადგილობრივი მცენარეული და მინერალური ნედლეულის გამოყენება, რაც ეკოლოგიურ უსაფრთხოებასთან ერთად ხელს შეუწყობს პრეპარატის თვითღირებულების შემცირებას. ამ მხრივ, აღსანიშნავია

ადგილობრივი ტორფისა და მურა ნახშირების მარტივი გადამუშავების შესაძლებლობა ჰუმინური მჟავების ნაწარმების მისაღებად სხვადასხვა მიკროელემენტების დამატებით.



ნიდაგების კვლევას დიდი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან ზოგიერთი მიკროელემენტის ნაკლებობა ხდება მცენარეთა დაავადებების გამომწვევით, ამიტომ აუცილებელია მცენარეთა სრულფასოვანი კვებისათვის მკვებავი კომპლექსური მიკროელემენტებიანი პრეპარატების დამზადება, ძირითადად ადგილობრივი ბუნებრივი მასალების გამოყენებით. ეკოლოგიურ უსაფრთხოებასთან ერთად ასეთი მიდგომა უზრუნველყოფს პრეპარატის მისაღებ თვითღირებულებას [8-9].

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში ფაქტიურად არ არის ადგილობრივი მიკრობიოლოგიური პრეპარატების წარმოება, თუმცა სამომავლოდ დაგეგმილია ჩვენი სამუშაო ჯგუფის მონაწილეობით ყანჩაველის მცენარეთა დაცვის ინსტიტუტთან ერთად ადგილობრივი ბაქტერიული საშუალებების დამზადება აცილლუს ტჰურინგიენსის-ს საფუძველზე. ეს უკანასკნელი 130-ზე მეტი სახეობის მავნებლის ანტაგონისტია და ეფექტურად მოქმედებს განსაკუთრებით ფოთოლჭამიების საწინააღმდეგოდ. მაგრამ ასეთი პრეპარატების გამოყენებისათვის აუცილებელია ძალზე მაღალი სამეურნეო კულტურა და სპეციფიკური პირობები. იგი უმეტესწილად გამოიყენება სქესის ფერომონებთან ერთად მავნებლის განვითარების გარკვეულ ფაზაში. ამიტომ, ჯერ-ჯერობით ასეთი სახის პრეპარატის წარმოება და გამოყენება საქართველოს სოფლის მეურნეობაში შეზღუდულია.

მცენარეული (ბოტანიკური) პესტიციდების გამოყენება კვლავ ყურადღების ცენტრში დადგა, ვინაიდან ისინი უფრო მეტად სელექტურობასთან ერთად განიცდიან ბიოდაშლას და ფაქტიურად უსაფრთხონი არიან გარემოსათვის. ზემოთ აღნიშნულ პირეტრუმთან ერთად, პოტენციურად სასარგელო უნდა იყოს ასევე სხვა მცენარეებიდან გამოყოფილი ბუნებრივი ინსექტიციდები. კერძოდ, შეიძლება ავლნიშნოთ როტენონები და როტენოიდები, რომლებსაც ძალზე მცირე ტოქსიკურობა ახასიათებთ ძუძუმწოვრების მიმართ, მაგრამ ამავე დროს განსაკუთრებით აქტიური არიან მთელი რიგი მავნებლების მიმართ. მიუხედავად იმისა, რომ ისინი ნელა მოქმედი ბუნებრივი ტოქსიკანტები არიან, მზის სინათლეზე სწრაფი დეგრადაციის გამო საკმაოდ ეფექტური არიან. რასაკვირველია, სინთეზური ინსექტიციდების მიმართ მცენარეულ ნივთიერებები არაკონკურენტუნარიანი არიან სიძვირის გამო, თუმცა ამ ბოლო წლებში გამოიკვეთა მცენარეულ ინსექტიციდების უფრო მარტივი ფრაგმენტების მიღების და გამოყენების პერსპექტივები.

საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების რეალური ხელშეწყობისათვის აუცილებელია სასოფლო-სამეურნეო პრეპარატების მცირე წარმოების ორგანიზაცია დარგის მინიმალურად აუცილებელი მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის. სადღეისოდ, არსებული მოთხოვნების და შესაბამისი პრეპარატების ნომენკლატურა ცნობილია და შესაძლებელია მათი დამზადება ადგილობრივ საწარმოში აუცილებელი რაოდენობით. ასეთი მცირე საწარმოს ორგანიზაცია მიზანშეწონილია შესაბამის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტთან, რაც

უზრუნველყოფს მოკლე ვადაში ადგილობრივი მაღალკვალიფიციური სპეციალისტების გამოცდილებისა და მდიდარი ბუნებრივი ნედლეულის საფუძველზე სამიზნო პრეპარატების დამზადებას. ასეთი დადებითი გამოცდილება ინსტიტუტს გააჩნია, როდესაც რესპუბლიკის ხელმძღვანელობის დავალებით 3 წელიწადში იქნა ათვისებული მევენახეობის და მეხილეობის, ასევე მეტყევეობის განვითარებისათვის აუცილებელი სქესის ფერომონების პრეპარატების საწარმოო დამზადება და 1988-1991 წწ-ში სოფლის მეურნეობას გადაეცა 600 000 ცალზე მეტი ფერომონიანი სქესმჭერი, რამაც უზრუნველყო ყურძნის ჭიის, აღმოსავლური, ქლიავის და ვაშლის ნაყოფმჭამიების, ასევე ტყის მავნებლების აბრეშუმის პარკმხვევიასა და მბეჭდავი ქერქიჭამიას პოპულაციების დათრგუნვა და ეპიდემიის შეჩერება. 1996 წელს საქართველოს მთავრობის დავალებით მცხეთა-თიანეთში აბრეშუმის პარკმხვევიას ეპიდემიური გავრცელების გამო დამზადებული და გამოყენებულია ტყის მავნებლის სქესის ფერომონიანი 80 000 ცალი მწერმჭერი, რამაც უზრუნველყო ეპიდემიის ჩაქრომა. ასევე პერიოდულად ბორჯომის სატყეო მეურნეობაში გამოიყენება ნაძვის მავნებლის მბეჭდავი ქერქიჭამიას სქესის ფერომონიანი მწერმჭერები, რომლებიც უზრუნველყოფენ მავნებლების გავრცელების პრევენციას.

არსებული საველე-საწარმოო გამოცდილებისა და ლაბორატორიული კვლევების საფუძველზე, საერთაშორისო ფირმების დახმარებით შესაძლებელია საქართველოს სოფლისა და ტყის მეურნეობებისათვის მინიმალურად აუცილებელი საშუალებებისა და პრეპარატების დამზადება ფართო ნომენკლატურით. ზემოთჩამოთვლილი ფერომონული პრეპარატები დღესაც აქტუალურია, განსაკუთრებით ტყის მავნებლის მბეჭდავი ქერქიჭამიას გავრცელების გამო. ასევე აქტუალურია აღმოსავლეთის და ვაშლის ნაყოფმჭამიების ფერომონული პრეპარატების გამოყენებაც ხეხილის, კურკოვნებისა და კაკლის ხის მავნებელთა საწინააღმდეგოდ. ყოველ შემთხვევაში ფერომონების გამოყენება მავნებელთა გავრცელების პროგნოზისა და ბრძოლისათვის მსოფლიოში აღიარებულია პრაქტიკაა და წარმატებით გამოიყენება მოწინავე ქვეყნების სოფლის და ტყის მეურნეობის წარმოებაში. საქართველოს ბაზრის სივიწროვის გამო ასეთი პრეპარატების დამზადება მხოლოდ მცირე მასშტაბით განისაზღვრება და შეიძლება ორგანიზებულ იქნეს ჩვენს ინსტიტუტთან. ასევე შესაძლებელია პირეტროიდული ინსექტიციდური კომპოზიციების დამზადება შემოტანილი აქტიური საწყისის გამოყენებით, რაც მომგებიანია თუნდაც მეზობელ თურქეთში ერთობლივი საწარმოების ეფექტურობის გათვალისწინებით.

მსოფლიო პრაქტიკაში სადღეისოდ თითქმის მთლიანად გამოიყენება უნივერსალური თხევადი სასუქები, რომელიც დამზადებულია მურანახშირიდან და ტორფიდან გამოყოფილი ჰუმინური მჟავების საფუძველზე. ორეტაპიანი სქემით შესაძლებელია სხვადასხვა დანიშნულების სასუქებისა და მიკროელემენტებიანი მკვებავი კომპოზიციების დამზადება, რაც აუცილებელია ყველა მცენარეული კულტურისათვის. საქართველოში არსებობს გამოცდილება და საჭირო ნედლეულიც; დაფინანსების შემთხვევაში არსებული საერთაშორისო გამოცდილების შესაბამისად დამზადდება სხვადასხვა დანიშნულების ჰუმინური მჟავის სასუქები (მაგ. ცტოსოლ-ის ტიპის). იგი აამაღლებს მარცვლეულის, ბოსტნეულის და ხილის მოსავალს, წარმოქმნის ტორფს, ამდიდრებს გამოფიტულ ნიადაგს, ხელს უწყობს ეკობალანსის შენარჩუნებას.

მცირემასშტაბიანი წარმოების ორგანიზაცია საშუალებას მოგვცემს ბაზრის შესაბამისად დაემაყოფილდეს სოფლის და ტყის მეურნეობების მოთხოვნები მცირე წარმოების ეფექტურობის შენარჩუნებით. გამოცდილების და მარკეტინგული შეფასების საფუძველზე შეიძლება საჭირო გახდეს სქესის ფერომონების წარმოება წელიწადში 5 კგ აქტიური საწყისის სიმძლავრით, უშრობი წებოს დამზადება 5-6 ტონა წელიწადში, პირეტროიდული ინსექტიციდის 2-3 ტონა აქტიურ კომპონენტზე გადათვლით, მკვებავი კომპოზიციების კონცენტრატი 10 ტონამდე წელიწადში. ეს რაოდენობა დააკმაყოფილებს სოფლის და ტყის მეურნეობის მინიმალურად აუცილებელ მოთხოვნებს. ჩვეულებრივ გარემოსათვის უსაფრთხო ადგილობრივ ბუნებრივ

ნედლეულზე დამზადებული პრეპარატების წარმოების ეკონომიკური ეფექტურობა მიღებულია - 1 დახარჯულ ლარზე 4-5 ლარის მოგება, თუმცა საწყის ეტაპზე შესაძლებელია ნაკლები ეფექტურობაც.

ლიტერატურა - REFERENCES – ЛИТЕРАТУРА

1. З.Г.Чрелашвили, М.В. Мавров, А.В. Долидзе, А.О. Чижов, Э.П. Серебряков. Синтез полового феромона гроздовой листовертки по реакции Гриняра-Шлоссера. Изв.РАН, сер. хим., 1993, № 6, с. 1133-1137;
2. З.Г.Чрелашвили, М.В. Мавров, А.В.Долидзе, А.П.Воронков., Э.П. Серебряков. Синтез 7E,9Z-додекадиенил-1-ацетата, полового феромона *LOBESIA BOTRANA SCHIFF*. Известия Академии наук СССР, серия химическая, 1993, № 4, ст. 766-768;
3. იმიქაძე, ვ.კასრაძე, მ.ციცაგი, ა.დოლიძე. 3-მეთილ-2 ,მ,4 -დეკადიენის მჟავის გერანილის ეთერის – პოტენციური იუვენოიდის სინთეზი. საქ. მეცნ.აკადემიის მაცნე, ქიმიის სერია, 2000, 26, № 1-2, გვ. 65-68;
4. Микадзе И., Цицаги М., Чедия Р., Долидзе А. О получении феромона и пиретроидного соединения на основе гераниола. Georgian Engineering News, 2000, № 2, ст. 120-122;
5. I.Mikadze, V. Kasradze, A. Dolidze. Biologically Active Compounds Based on Natural Alcohol Components. Bull. of the Georgian Academy of Sciences, 2001, 164, N3, p. 65-66;
6. Цицаги М., Церодзе Н., Пруидзе И., Микадзе И., Долидзе А., Новые препаративные формы половых феромонов. Инженерные новости Грузии, 2002, № 2, ст. 86-87.
7. მ. ციცაგი, რ. ჭეღია, ნ. წეროძე, ა. დოლიძე. ყურძნის ჭიის ფერომონის სინთეზის სქემის გაუმჯობესება. საქ. მეცნ.აკადემიის მაცნე, ქიმიის სერია., 2002 წ., 28, № 1-2, გვ. 194-196.
8. ნ. შალამბერიძე, ლ. ცხველაძე, ა. დოლიძე. მოლიფიცირებული პრეპარატი „ანტიპესტ“-ს გამოცდა ვაზის იმერულა ბალიშა და ფქვილისებრი ცრუფარიანების წინააღმდეგ დასავლეთ საქართველოში. საქ. სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, 2011, № 29, გვ. 97-100.
9. A.Dolidze, O.Lomtadze, and K.Ebraldize, P.Melikishvili Institute of Physical and Organic Chemistry, Georgia. Protection of Fruits from Pest Diseases Applying Ecologically Safe Preparations. International Conference & Axhibition. Batumi-Spring-2010. Programme & Abstracts. May7-9, Batumi, Georgia. 2010. p.26-27.

DEVELOPMENT OF ECOLOGICALLY ACCEPTABLE AGRICULTURAL PREPARATIONS ON THE BASIS OF BIOLOGICAL PRINCIPLES

I. Mikadze, N. Kavtaradze, L.Dolidze, T.Dgebuadze, K.Kochiashvili, A.Dolidze
Iv.Javakhishvili Tbilisi State University/P.Melikishvili Institute of Physical and Organic Chemistry

SUMMARY

Some pesticides together with high efficiency have the ability to accumulate in ecosystems. On this basis, application of pesticides based on biological principles, as well as usage of natural materials in formulations is necessary. Ultimately it makes possible to increase the share of environmentally less dangerous means in the pesticides nomenclature. The nomenclature of the corresponding preparations for satisfaction of minimum essential requirements of the industry is

known and their manufacturing in local production in necessary volume with the maximum use of natural raw materials available in Georgia is possible.

**РАЗРАБОТКА ЭКОЛОГИЧЕСКИ ПРИЕМЛЕМЫХ СЕЛЬСКО-
ХОЗЯЙСТВЕННЫХ ПРЕПАРАТОВ НА ОСНОВЕ БИОЛОГИЧЕСКИХ
ПРИНЦИПОВ**

И. И. Микадзе, Н. А. Кавтарадзе, Л. А. Долидзе, Т. А. Дгебуадзе, К. Н. Кочиашвили,
А. В. Долидзе

*Тбилисский государственный университет им. Ив. Джавахишвили/Институт
физической и органической химии им. П. Г. Меликишвили*

РЕЗЮМЕ

Некоторые пестициды вместе с высокой эффективностью обладают способностью накапливаться в экосистемах. Исходя из этого, необходимо разработка пестицидов на основе биологических принципов, а также применение в препаративных формах природных материалов, что в конечном счёте даёт возможность увеличения доли экологически менее опасных средств в номенклатуре пестицидов. Известна номенклатура соответствующих препаратов для удовлетворения минимально необходимых потребностей отрасли и возможно их изготовление в местном производстве в необходимом объёме, максимальным использованием имеющегося в Грузии природного сырья.

ვაზის მავნებლების საწინააღმდეგო ახალი ინსექტო-აკარიციდული პრეპარატი

ომარ ლომთაძე, ლუდმილა ცხვედაძე, ავთანდილ დოლიძე, ნინო ლომთაძე

ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტი, საქართველო, თბილისი, physorgchem@gmail.com

შემუშავებულია მცირე ეკოლოგიური დატვირთვის, კომპოზიციური პრეპარატი “ანტიპესტი”, რომელიც გამოიცადა GWS-ის ვენახებში (თელავის რაიონი, სოფ. აკურა) ვაზის აბლაბუდიანი ტკიპას წინააღმდეგ და მევენახეობის, მეღვინეობის და მებაღეობის ინსტიტუტის ექსპერიმენტალური ბაზის ვენახებში (ზესტაფონის რაიონის სოფ. ვაჭევი) ფქვილისებრი და იმერული ბალიშა ცრუფარიანების წინააღმდეგ. პრეპარატი მაღალეფექტურია ვაზის მავნებლებთან საბრძოლველად. “ანტიპესტით” დამუშავებული ყურძნიდან მომზადებული წვენი და ღვინო არ შეიცავს პრეპარატის ნარჩენ რაოდენობას.

უკანასკნელ წლებში ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტების წარმოების მიმართულებით გამკაცრებული მოთხოვნების უზრუნველყოფისათვის, აქტუალურია საქართველოს ეკონომიკისათვის მნიშვნელოვანი პროდუქტის - ყურძნის ეკოლოგიურად სუფთა მოსავლის მიღების სისტემის შემუშავება. აღნიშნული სისტემის პრაქტიკული უზრუნველყოფისთვის უაღრესად მნიშვნელოვანია ვაზის და ყურძნის მავნებლებთან ბრძოლის უსაფრთხო საშუალებების გამოყენება. ამავე დროს სასურველია პრეპარატი იყოს კომპლექსური მოქმედების, რათა შემცირდეს ვაზის მავნებლებისგან დაცვისთვის საჭირო აუცილებელი შეწამვის ჯერადობა და შესამისად ხარისხიანი პროდუქციის მიღებისთვის საჭირო მატერიალური და შრომითი დანახარჯები [1].

პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტში, გასული საუკუნის 80-ანი წლებიდან მოყოლებული დღემდე, მეცნიერთა ჯგუფი პროფესორ ავთანდილ დოლიძის ხელმძღვანელობით მუშაობს მცენარეთა დაცვის უსაფრთხო საშუალებების შემუშავებასა და დანერგვაზე. 2009-2011 წლებში საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი № GNSF/ST08/516 გრანტის შესრულების ფარგლებში მუშავებოდა პრეპარატი, რომელსაც ინსექტო-აკარიციდული თვისებების პარალელურად ექნებოდა რეპელენტური თვისებები. ამ მიზნით სინთეზურ პირეტროიდებთან კომპოზიციაში გამოიცადა სხვადასხვა ბუნებრივი ნაერთი, რომელთაც გარკვეული რეპელენტობა ახასიათებს ვაზის მავნებლების მიმართ და ამავე დროს თავსებადნი არიან სინთეზურ პირეტროიდებთან.

რეპელენტურ კომპონენტად ტერპენტინის ზეთის – წიწვოვანი მცენარეების ფისიდან მიღებული ბუნებრივი გამხსნელის (скипидар живичный), გამოყენების შემთხვევაში მიღებულ კომპოზიციის რეპელენტური თვისების შექმნასთან ერთად შესამჩნევად გაეზარდა აკარიციდული აქტივობა. აღნიშნულმა ფაქტმა განაპირობა სამუშაოები ვაზის მავნებლების საწინააღმდეგო მცირე ეკოლოგიური დატვირთვის ეფექტური პრეპარატის შემუშავების მიმართულებით. პრეპარატის რეცეპტურულ შედგენილობაში სინთეზური პირეტროიდის მინიმალურად აუცილებელი რაოდენობის, ასევე კომპოზიციაში სინთეზური პირეტროიდისა და ტერპენტინის ზეთის ოპტიმალური თანაფარდობის დასადგენად მომზადდა ამ კომპონენტების სხვადასხვა თანაფარდობის შემცველი შედგენილობები და გამოიცადა რეალურ გარემოში GWS-ის ვენახების (თელავის რაიონი, სოფ. აკურა) საცდელ ნაკვეთში, ვაზის აბლაბუდიანი ტკიპას წინააღმდეგ [2].

ვაზის აბლაბუდიანი ტკიპა იკვებება კვირტების, ფოთლების, ნორჩი ყლორტების უკრედების პლანქტისა და ქლოროფილის მარცვლებით. დაზიანებული ფოთოლი კარგავს მწვანე ფერს და ჯიშების მიხედვით იღებს მოყვითალო-მურა (თეთრი ჯიშები) ან წითელ (წითელი ჯიშები) ფერს. მავნებლის მიერ ძლიერ დაზიანებული ფოთოლი იკრუნჩხება და ნაადრევად ცვივა. მოზარდი ფოთლები ძარღვების დაზიანების გამო დეფორმირდებიან. ხშირად ყლორტებიც ხმება ან მუხლში გადატყდება.

ვაზის აბლაბუდიანი ტკიპა თაობათა სიმრავლისა და კვერცხების სიუხვის გამო სწრაფად მრავლდება და ზოგიერთ წლებში, ცხელი და მშრალი ზაფხულის პირობებში, თვალსაჩინო ზარალსაც იძლევა.

ვენანში სავალე გამოცდები ჩატარდა ე.წ. „ცის გახსნის“ შემდეგ, როდესაც ნამხრევებზე გამოტანილი მწვანე ნორჩი ყლორტები და ფოთლები საუკეთესო, წვესავსე სუბსტრატია ტკიპებისა და სხვა მავნე ორგანიზმების მასობრივი გავრცელებისათვის.

საკვლევი ტერპენტინების ზეთის შემცველი კომპოზიციების ეფექტურობის გამოცდა მოხდა შემდეგო სქემით:

- 25% ციპერმეტრინის შემცველ პრეპარატ „არივო“-ს დაემატა ტერპენტინების ზეთის გათვლილი რაოდენობა და მიღებულ იქნა 20, 15, 10 და 5 % ციპერმეტრინის შემცველი კომპოზიციები;

- თითოეული კომპოზიციიდან მომზადდა 0.003, 0.005, 0.007 და 0.01 % ციპერმეტრინის შემცველი სამუშაო ხსნარი (სულ თექვსმეტი ნიმუში);

- პრეპარატ „არივო“-დან მომზადდა მავნებლების საწინააღმდეგოდ ჩვეულებრივ რეკომენდირებული 0.01 %-ანი სამუშაო ხსნარი;

- ცდაში იყო ტერპენტინების ზეთისა და ციპერმეტრინის სხვადასხვა კონცენტრაციით შემცველი ხსნარები; ეტალონად – პრეპარატ „არივო“-დან მომზადებული 0.01 % ციპერმეტრინის შემცველი სამუშაო ხსნარი; საკონტროლო - შეუწამლავი ვაზები.

სამუშაო ხსნარებით შეწამვლამდე ცდებისთვის შერჩეული ვაზების (ჯიში საფერავი) ფოთოლზე ტკიპების რიცხოვნება საშუალოდ იყო 8-9 ცალი.

წამლობის შემდეგ ჩატარებული აღრიცხვის შედეგების მიხედვით კომპოზიციაში ციპერმეტრინის შემცველობაზე მეტი რაოდენობის ტერპენტინების ზეთი გავლენას აღარ ახდენს მომზადებული სამუშაო ხსნარების აკარიციდულ აქტივობაზე. ტკიპების მთლიანი განადგურება დაფიქსირდა ტერპენტინების ზეთის შემცველი კომპოზიციების 0.007 და 0.01 % ციპერმეტრინის შემცველი სამუშაო ხსნარები გამოყენების შემთხვევაში, ისევე როგორც ეტალონის – პრეპარატ „არივო“-დან მომზადებული 0.01 % ციპერმეტრინის შემცველი სამუშაო ხსნარის შემთხვევაში. ტერპენტინების ზეთიანი კომპოზიციების 0.003 და 0.005 % ციპერმეტრინის შემცველი სამუშაო ხსნარებით წამლობის შემდეგ მწვანე ნორჩ ყლორტებსა და ფოთლებზე ტკიპას რიცხოვნება საშუალოდ იყო შესაბამისად 2-4 ცალი და 0-2 ცალი.

მიღებული შედეგებიდან გამომდინარე პრეპარატ „არივო“-ში ციპერმეტრინის შემცველობაზე 30-40%-ით ნაკლები პირეტროიდის შემცველობის ტერპენტინების ზეთიანი კომპოზიციის აკარიციდული აქტივობა „არივო“-ს აქტივობის დონეზეა. სავარაუდოა, რომ კომპოზიციის შემთხვევაში ადგილი აქვს სინერგიზმს და ტერპენტინები განსაზღვრავენ სინთეზური პირეტროიდის გაძლიერებულ მოქმედებას. ამ შემთხვევაში ტერპენტინების ზეთის შემცველ კომპოზიციურ პრეპარატში ძირითადი მოქმედი ნივთიერების კონცენტრაცია, საკმარისია მავნებლის განვითარების ციკლის ხანგრძლივობის უფრო დიდი პერიოდისთვის. ვიდრე პრეპარატ „არივო“-ში იგივე რაოდენობის პირეტროიდის შემცველობის შემთხვევაში,

შემუშავებული მცირე ეკოლოგიური დატვირთვის, ტერპენტინების ზეთის შემცველი კომპოზიციური პრეპარატის, პირობითი სახელწოდებით „ანტიპესტი“-ს, ეფექტურობა შედარებულ იქნა GWS-ის ვენახებში აბლაბუდიან ტკიპასთან საბრძოლველად გამოყენებულ

პრეპარატების (“ენვიდორი” და “ტალსტარი”) ეფექტურობასთან. სავსე გამოცდები ჩატარდა პერიოდში, როდესაც ტკიპების რიცხოვნება ერთ ფოთოლზე საშუალოდ იყო 18-20 ცალი.

თანაბარ პირობებში ჩატარებული წამლობის შედეგების მიხედვით საცდელი პრეპარატის (“ანტიპესტი”) აკარიციდული ეფექტურობა ეტალონთან (“ენვიდორი”, “ტალსტარი”) შედარებით ოდნავ უკეთესია, კერძოდ “ანტიპესტი”-ს შემთხვევაში ერთ ფოთოლზე ტკიპას საშუალო რიცხოვნება არის 0-2 ცალი, ხოლო “ენვიდორი”-ს შემთხვევაში – 1-3 ცალი.

მიღებული შედეგებიდან გამომდინარე ყურძნის აბლაბუდა ტკიპას საწინააღმდეგო წამლობები ვაზის ყვავილობის პერიოდში და გამოხორბელის ფაზაში შესაძლებელია ჩატარდეს “ანტიპესტი” სხვა ქიმიურ საშუალებებთან მონაცვლეობით. სრული ისრილობისა და ყურძნის სიმწიფის დასაწყისში (“შეთვალეზის” ფაზაში), მიზანშეწონილია, საჭიროების შემთხვევაში, მხოლოდ ეკოლოგიურად ნაკლებად სახიფათო “ანტიპესტი”-ს გამოყენებით, რაც გამორიცხავს ყურძნის შხამქიმიკატებით გაჯერება-დაბინძურებას.

პრეპარატი „ანტიპესტი” გამოიცადა ასევე ფქვილისებრი და იმერული ბალიშა ცრუფარიანების წინააღმდეგ მევენახეობის, მეღვინეობის და მებაღეობის ინსტიტუტის ექსპერიმენტალური ბაზის ვენახებში (ზესტაფონის რაიონის სოფ. ვაჭვევი) ჯიშებზე “ციცქა” და “ცოლიკოური” [3]. იმერეთის პირობებში ცრუფარიანები ძლიერ გავრცელებული და დიდად უარყოფითი სამეურნეო მნიშვნელობის მქონე მავნებელია. ცრუფარიანა სახლდება ფოთოლზე ძარღვების გასწვრივ. ინტენსიურად წუწნის მტევნის ყუნწს და მარცვალსაც. დაზიანებული ფოთოლი ყვითლდება, მტევნები ჭკნება და ძირს ცვივა. ცრუფარიანას ტკბილ წებოვან გამონაყოფზე სახლდება სიშავის გამომწვევი სოკო – კანოდიუმი, რომელიც აშავებს ვაზის მწვანე ნაწილებს, მტევნებს და ყურძენი უვარგისი ხდება გადასამუშავებლად. დაზიანებული ყურძნიდან ღებება მდარე ხარისხის ღვინო და საჭმელად უვარგისია. მავნებლის მიერ დაზიანებული ვაზი წლების მანძილზე ძლიერ კნინდება, ხმება და მოსავალი 70-75%-ით მცირდება. წელიწადში იძლევა 3-4 გენერაციას.

ცდების ჩასატარებლად გამოყოფილი და მონიშნული იყო ცრუფარიანებით დასახლებული დაავადებული ვაზები. კერძოდ, ფქვილისებრი ცრუფარიანას გავრცელების კერაში, ვაჭვევის №1 ნაკვეთში, ჯიშში ციცქა და იმერული ბალიშა ცრუფარიანას გავრცელების კერაში, ვაჭვევის №4 ნაკვეთში, ჯიშში ცოლიკოური. ცრუფარიანების წინააღმდეგ გამოიცადა კომპოზიციურ პრეპარატ “ანტიპესტი”-დან მომზადებული 0,005, 0,007 და 0,01 % ციპერმეტრინის შემცველი სამუშაო ხსნარები. ეტალონად აღებული იყო ტრადიციულად გამოყენებული “საფაგორი”-ს 0,2%-ანი სამუშაო ხსნარი. საკონტროლოდ აღებული გვექონდა შეუსხურებელი ვაზები. ცრუფარიანების სხვადასხვა ასაკის მატლების წინააღმდეგ ბრძოლა ჩატარდა ვაზის ფენოფაზებთან დაკავშირებით.

ცრუფარიანებით დასახლებული ვაზების საცდელი და ეტალონური სამუშაო ხსნარებით შეწამვლის შემდეგ ჩატარებული აღრიცხვის მონაცემებით (ცხრილი 1), ანტიპესტიდან მომზადებული სამუშაო ხსნარი, 0,01% ციპერმეტრინის შემცველობით, საკმაოდ ეფექტურია ცრუფარიანებთან საბრძოლველად. ცრუფარიანებთან ანტიპესტით ბრძოლის შემთხვევაში, მავნებლის სიკვდილიანობის მაჩვენებელი უკეთესია ვიდრე ტრადიციულად გამოყენებული “საფაგორის” შემთხვევაში.

საკონტროლო ვარიანტში ცრუფარიანების სიკვდილიანობის მაჩვენებელი განპირობებულია მავნებლის ბუნებრივი სიკვდილით. “ანტიპესტით” დამუშავების შემდეგ მცენარეზე ფიტოტოქსიკურობა არ აღინიშნა.

მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის ინსტიტუტის ცენტრალურ ლაბორატორიაში ჩატარებული GWS-ის და ვაჭვევის საცდელ ნაკვეთებიდან აღებული საფერავის, ციცქასა და ცოლიკოურის ჯიშის ყურძნიდან დამზადებულ ყურძნის წვენის ანალიზი (ცხრილი 2).

ცხრილი 1. ცრუფარიანებთან ბძოლის ეფექტურობა “ანტიპესტი”-ს გამოყენებით

მაგნებელი	ვაზების ჯგუფი	გამოყენებული პრეპარატი	მაგნებლის სიკვდილიანობა %
ფქვილისებრი ცრუფარიანა	საცდელი	ანტიპესტი 0.005%	70.5
		ანტიპესტი 0.007%	80.0
		ანტიპესტი 0.01%	95.9
	ეტალონი	საფაგორი 0.2%	95.3
იმერული ბალიშა ცრუფარიანა	საცდელი	ანტიპესტი 0.005%	70.9
		ანტიპესტი 0.007%	82.0
		ანტიპესტი 0.01%	93.7
	ეტალონი	საფაგორი 0.2%	92.3
ფქვილისებრი და იმერული ბალიშა ცრუფარიანა	საკონტროლო		1-2

ცხრილი 2. საცდელი და ეტალონის ნიმუშებიდან მიღებული ყურძნის წვენის ძირითადი მახასიათებლები

ვაზის ჯიში	ნიმუში	შაქარი, %	ტიტრული მჟავიანობა გ/დმ ³	ციპერმეტრინის შემცველობა
საფერავი	საცდელი	26,8	8,76	არ შეიცავს
	ეტალონი	27,1	8,5	–
ცოლიკოური	საცდელი	20,9	6,45	არ შეიცავს
	ეტალონი	21,0	5,62	–
ციცქა	საცდელი	17,5	6,2	არ შეიცავს
	ეტალონი	16,2	6,97	–

მიღებული შედეგების თანახმად საცდელი (“ანტიპესტი” დამუშავებული) და ეტალონური (ტრადიციულად გამოყენებადი პრეპარატებით დამუშავებული) ვაზებიდან მიღებული ყურძნიდან მომზადებულ წვენის ძირითადი მახასიათებლების მაჩვენებლებს შორის მცირე განსვავებაა. ამავე დროს საცდელ ნიმუშებში არ დაფიქსირდა პრეპარატ “ანტიპესტი”-ს მომქმედი ნივთიერების - ციპერმეტრინის ნაშთი [4].

პრეპარატ “ანტიპესტი” დამუშავებულ საცდელ ვაზებზე მოკრეფილი ყურძნიდან და ეტალონურ (წარმოებაში გამოყენებული პრეპარატებით დამუშავებულ) ვაზებზე მოკრეფილი ყურძნისგან მიღებული ღვინომასალების ძირითადი პარამეტრების ანალიზის შედეგების მიხედვით, მაჩვენებლები ერთმანეთისგან მნიშვნელოვნად არ განსხვავდება (ცხრილი 3).

ცხრილი 3. საცდელი და ეტალონის ნიმუშებიდან მიღებული ღვინომასალების ძირითადი პარამეტრები

ვაზის ჯიში	ნიმუში	ეთილის სპირტი მოც. %	შაქარი გ/ლ	ტიტრული მჟავიანობა გ/ლ	აქროლადი მჟავები გ/ლ	დაყვანილი ექსტრაქტი გ/ლ	ციპერმეტრინის შემცველობა
საფერავი	საცდელი	13,21	1,0	7,56	11,2	22,7	არ შეიცავს
	ეტალონი	13,95	10,9	7,15	1,3	22,9	
ცოლიკოური	საცდელი	11,1	1,5	5,8	0,4	17,3	არ შეიცავს
	ეტალონი	11,9	2,0	5,1	0,35	17,0	
ციცქა	საცდელი	9,9	0,9	6,5	0,5	16,8	არ შეიცავს
	ეტალონი	9,7	0,8	6,6	0,6	16,2	

მიღებული შედეგები გვიჩვენებს, რომ შემუშავებული მცირე ეკოლოგიური დატვირთვის, ტერპენტინების ზეთის შემცველი კომპოზიციური პრეპარატის “ანტიპესტი“-ს დოზები და შესხურების ვადები ოპტიმალურად იყო დადგენილი. აღნიშნული საშუალება უარყოფით გავლენას არ ახდენს, როგორც ყურძნის წველის, ასევე ღვინომასალების ქიმიურ შემადგენლობაზე და რაც ძალზე მნიშვნელოვანია, მზა პროდუქციაში არ აღინიშნება გამოყენებული პრეპარატების ნაშთები. მევენახეობის, მეღვინეობის და მებაღეობის ინსტიტუტის მიერ პრეპარატი “ანტიპესტი” რეკომენდირებულია ფართო გამოყენებისთვის, განსაკუთრებით სრული ისრიმობისა და ყურძნის სიმწიფის დასაწყისში ვაზის მავნებლების წინააღმდეგ საბრძოლველად.

ლიტერატურა – REFERENCES – ЛИТЕРАТУРА

1. ომარ ლომთაძე, ლუდმილა ცხვედაძე, ავთანდილ დოლიძე, ნინო ლომთაძე ვაზის მავნებელ დაავადებების საწინააღმდეგო შედარებით უსაფრთხო საშუალებების შდემუშავება და გამოცდა ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოებისთვის. პეტრე მელიქიშვილისფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის შრომები, 2011, გვ. 138-141.
2. თარალაშვილი ლ., ლომთაძე ო., ცხვედაძე ლ. ვაზის აბლაბუდიანი ტკიპას წინააღმდეგ მოდიფიცირებული ინსექტო-აკარიციდის “ანტიპესტი“-ს გამოცდის შედეგები 2009-2010 წლებში. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, 2010, №28, გვ. 95-99.
3. შალამბერიძე ნ., ცხვედაძე ლ., დოლიძე ა. მოდიფიცირებული პრეპარატ “ანტიპესტი“-ს გამოცდა ვაზის იმერულა ბალიშა და ფქვილისებრი ცრუფარიანების წინააღმდეგ დასავლეთ საქართველოში. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, 2011, №29, გვ. 97-100.
4. შუბლაძე ლ., დოლიძე ა., ლომთაძე ო., ცხვედაძე ლ. პრეპარატების “ანტიპესტი“-ს და “თუთიის დიჰიდროფოსფატი“-ს ნარჩენი რაოდენობების განსაზღვრა ყურძნის წვენსა და ღვინოში. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე, ქიმიის სერია, 2010, ტ. 36, №4, გვ. 503-505.

NEW INSECTO - ACARICIDAL PREPARATION AGAINST GRAPE PESTS

O. Lomtadze, L. Tskhvedadze, A. Dolidze, N. Lomtadze

Petre Melikishvili Institute of Physical and Organic Chemistry of Tbilisi State University

SUMMARY

New composite preparation "Antipesti" with low environmentally threat developed. Field tests have shown high efficiency against grape spider mite (*Schizotetranychus viticola* Reck.), grape mealybugs (*Pseudococcus citri*) and Imeretian grape Coccidae (*Neopulvinaria imeretina* Hadz). Wine and juices made from grapes which is sprayed "Antipest", do not contain trace amounts of the preparation.

НОВЫЙ ИНСЕКТО-АКАРИЦИДНЫЙ ПРЕПАРАТ ПРОТИВ ВРЕДИТЕЛЕЙ ВИНОГРАДА

О.Г. Ломтадзе, Л.П. Цхведадзе, А.В. Долидзе, Н.О. Ломтадзе
*Тбилисский Государственный университет им. И. Джавахишвили, Институт
физической и органической химии им. П. Меликишвили*

РЕЗЮМЕ

Разработан новый композиционный препарат с малой экологической нагрузкой «Антипест». Полевые испытания показали высокую эффективность препарата против виноградного паутинного клеща (*Schizotetranychus viticola* Reck.), виноградного мучнистого червеца (*Pseudococcus citri*) и имеретинской виноградной подушечницы (*Neopulvinaria imeretina* Hadz). Вино и сок, приготовленные из обработанного «Антипестом» винограда не содержат остаточное количество препарата.